


№ 7

1. დამფუძნებელი წილი  
2. კახელი წილი

ქს



№ 7

ეროვნათა კავშირის კომიტეტის ორგანო





# შ ი ნ ა ა რ ს ი:

გვერდი


1. ევროპის სოც. დელეგაცია და ერობები . . . . .	3
2. ვლ. ტაჩოვი—ახობაძე—თემების კავშირი . . . . .	5
3. აქვთ თუ არა თემებს უფლება მოძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევისა . . . . .	8
4. ექიმი ი. ლომოური—ტფილისის სამაზრო ერობის საექიმო სასანიტარო განყოფილების წარსული საქმიანობის და ახლო მომავლის სამოქმედო გეგმის მოკლე მიმოხილვა . . . . .	11
5. ექიმი გრ. მამამთავრიშვილი—ერობის უფლებრივი მხარე სავეტერინარო დარგში. . . . .	17
6. მ. ქარცივაძე—ხეხილის ბალის გაშენება . . . . .	22
7. გ. ს.—ქედელი—პატარა წერილები . . . . .	28
8. კ. დინჯაძე—თემის მნიშვნელობა და მისი მდგომარეობა.	35
9.—ორიოდე სიტყვა სოფლის აღმშენებ. და სანიტარიაზე . . . . .	36
10. იოსებ იმედაშვილი—ხელოვნება და ერობა . . . . .	37
11. ქრონიკა	
12. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:	
ა) ხომლელი—გიორგი წერეთელი. . . . .	59
ბ) N N—აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა . . . . .	63
13. კითხვა-პასუხი . . . . .	—




# ქრონიკა

ორკვირეული საერთო ჟურნალი

5666



ეროზთა კავშირის კომიტეტის ორგანო



ტფილისი. ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბა. რუსთაველის პრ., № 26.  
1920









15 ენკენისთვე, 1920 წ.

## ევროპის სოც. დელეგაცია და ეროვნები.

საქართველომ ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი ჭირ-ვარამი გადაიტანა. მეტად რთული და მრავალ ფეროვანი იყო საქართველოს დემოკრატიის მოღვაწეობა ამ ხნის განმავლობაში: ერთი მხრივ ის სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა იმ მავნე მოწინააღმდეგე ელემენტებთან, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს სიკვდილი, მისი სახელმწიფოებრივი სახის დასამარება, მეორეს მხრივ ის იღწოდა ნორჩი რესპუბლიკის დემოკრატიულ ნიადაგზე განმტკიცებისათვის, ახალგაზდა სახელმწიფოს პოლიტიკურად გამაგრებისათვის. მეტად დამაბრკოლებელ პირობებში სწარმოებდა ეს მუშაობა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიის ძლიერმა ნებსიყოფამ, მისმა თავგანწირულმა სულისკვეთებამ მიიწვია გაიმარჯვა; დღეს მართლა გვაქვს ჩვენ საქართველოს დემოკრატიის ბრძოლის სამგვარი ნაყოფი: „საგარეო მყუდროება, საშინაო მყუდროება და რევოლიუციის ყველა მონაპოვარი.“ საქართველოს პოლიტიკური ცა თითქმის სრულიად გაიწმინდა, ბურუსი გაიფანტა...

რით ხელმძღვანელობდა საქართველო ამ ბრძოლაში? სალი, დემოკრატიული პრინციპებით, სამართლიანობით, სხვისდამი აღსავსე სიყვარულით და თავის საარსებო ინტერესების პატივისცემით. ასეთი იყო მოკლედ ქართველი ერის სამოქმედო გეგმა ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ სამწუხაროდ, ყალბი ინფორმაციის წყალობით ევროპის დემოკრატია სრულიად ვერ იცნობს დღევანდელ საქართველოს. ევროპის მუშათა კლასს თუ რამე წაუკითხავს ან გაუგონია საქართველოს შესახებ ისიც ცუდი და განგებ შეთხზული. მართალია ამ ხნის განმავლობაში ბევრი უცხო სტუმრები მიდი-მოდიოდნენ, ზოგი სამტროდ ზოგი სამოყვროდ, ზოგი მათგანის გველურმა, ორჭოფმა პოლიტიკამ საქართველოს დიდი ზიანიც კი მიაყენა; ამ უმადურ სტუმრებს, რომლებსაც ასე გულუხვად, თავაზიანად ღებულობდა საქართველო, ერთხელაც არ მოსვლიათ აზრათ ევროპის ფართო მასისათვის, დემოკრატიისათვის სისწორით გაეცნოთ



საქართველოს ვითარება; ეს არც გასაკვირია, რადგანაც არც ერთი ამ სტუმრებთაგანი არ ყოფილა ნამდვილი წარმომადგენელი ევროპის მუშათა კლასისა, მათი ზრახვანი და გულისთქმანი სულ სხვა იყო, მაგრამ ისინი უკვე წავიდნენ... ეხლა კი გვესტუმრენ ნამდვილი სტუმრები, ღირსეული წარმომადგენლები ევროპის მშრომელი კლასისა ვანდერველდე, რენოდელი და სხვა სუკეთესო მატარებელნი საერთაშორისო სოციალიზმისა. აი ვინ ეწვია ამ დღეებში საქართველოს, აი ვის უნდა გადუშალოთ ჩვენი გული და სული, აი ვის უნდა გავაცნოთ ჩვენი აგი და კარგიც, აი ვინ დააფასებს მიუდგომლად ჩვენს ნაამაგარს. აი, სტუმრები, რომლებიც დარწმუნდებიან, რომ საქართველო მართლა სწორი, დემოკრატიული გზით მიდის სოციალიზმისაკენ.

ამ სასურველ სტუმრებს ყველაფერი დაწვრილებით უნდა გავაცნოთ; ქალაქები, სოფლები, გლეხოზა, მუშათა კლასი, საკანონმდებლო ორგანოები, რეფორმები, ჩვენი ახალ ზნე-ჩვეულებანი და სხვა. ერთი სიტყვით ყველაფერი. ამ ძვირფას სტუმრების მიღებაში მთელმა საქართველომ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ჩვენი სახელმწიფოებრივ აპარატის სიმძიმე დღეს უმეტესად კისრად აწევს ერობებს, რომლის მოღვაწეობას უსათუოდ უნდა გაეცნონ სტუმრები; ამისათვის ერობებს დიდი წინასწარი მუშაობა მართებთ ღირსეული სტუმრების ჯეროვან მისაღებად; მათ ფართო აგიტაცია უნდა გასწიონ ხალხში, გააცნონ ძვირფასი სტუმრების მოსვლის მიზეზი, თუ მიზანი. დაამზადონ ყოველგვარი მასალები, რომლებიც ნათელს ყოფენ ჩვენი ერობების საქმიანობას. ჩვენი ერობების წარმომადგიენლებმა თფილად უნდა მიიღონ სტუმრები, მაგრად ჩამოართვან ხელდა უთხრან: სული სულს იცნობს, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.





## თ ე მ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ი

თანახმად მე 9 და მე 10 თემის კანონ-პროექტის მუხლისა, თემებს შეუძლიათ ვერ ერთი—შექმნან კავშირები, მეორეც, იმ შემთხვევაში, როცა უმაღლესი ერობის ორგანიზაციას არ შეუძლია რაიმე მიზნის გამო დააკმაყოფილოს ისეთი მოთხოვნები თემისა, რომელიც აღემატება მის ღონესა და ბიუჯეტს,—მაშინ თემებს შეუძლიათ განსაკუთრებულ მიზნისათვის შექმნან განსაკუთრებული შეერთება. ასეთ უფლების აღიარებას უნდა მივესალმოთ, რადგანაც დასავლეთ ევროპის და რუსეთის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უმაღლესი ტერიტორიალური კავშირები ვერ არიან პირდაპირ ხალხის საჭიროებასთან დაახლოებულნი და ბევრჯელ ის კითხვები, რომელნიც თხოულობენ საჩქაროთ გარჩევას, სხვა და სხვა მიზეზების გამო დიდი ხნით გადაიდება ხოლმე. რომელი კონკრეტული შემთხვევა იძლევა ნებას შეერთდენ კავშირებში რამე მიზნისათვის? ასეთი შემთხვევები ამ ჟამად ძალიან ბევრია; განსაკუთრებით ახლა, როცა რესპუბლიკა შენდება ეკონომიურად და როცა უნდა შეიქმნას მრეწველობა თავისივე ნედლი მასალით. პირველად ყოვლისა შეერთებულ თემებს შეუძლიათ დაარსონ კოოპერატივები არა მარტო ერობის ქონებისა, არამედ ერობის მომუშავე ძალებისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ხანაში, როცა ერობას არ ყოფნის გამოცდილი ერობის მუშაკნი. ამის გარდა განსაზღვრული მიზნის დაარსებულ კავშირებს მიეცემათ საშუალება ერთგვარი ჰავისა და ორეოგრაფიულ რაიონებში მიაღწიონ მიზანს, ე. ი. შეასრულონ რაიმე გეგმა მუშაობისა, შეაერთონ თავის ძალები და სხვა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალ შემთხვევებში, როგორც, მაგალითად, მორწყვა, მიღების გაყვანა, რკინის გზების გაყვანა, შარა გზების და ჰიდრო ელექტრონის სადგურების გაკეთება და სხვა და სხვა. გარდა ადგილობრივ მნიშვნელობისა, თემების შეკავშირებას რამე მიზნისათვის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვთ, როდესაც თემი შეასრულებს ამა თუ იმ სამეურნეო ზომებს ის ამით ახორციელებს საერთო ეკონომიურ გეგ-



მას სახალხო მეურნეობაში დაენმარება გააღვიოს და განავითაროს სამუშაო ძალა ქვეყნისა. არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ საქართველოში არ შეიძლება შეიქნას ერთნაირი სასოფლო-სამეურნეო გეგმა, რადგანაც სამეურნეო ცხოვრება რესპუბლიკისა არის დამოკიდებული ორეოგრაფიულ და ჰავის პირობებზე, რის გამოც უნდება სხვა და სხვანაირი მეურნეობა და სხვანაირი ფორმა მიწის მუშაობისა. მაგალითად დაბლობსა და სიციხიან ადგილებში თემებმა უნდა შექმნან ნამდვილი მორწყვითი მეურნეობა, რათა გაშენდეს დიდი ხელოვნური მოსარწყავი არხები. ისინი ვინც მათს კალთებში და მთებში ცხოვრობენ იძულებული არიან სხვა რაიმე ზომები მიიღონ. მაგალითად ბორჩალოს მაზრაში ეტყობა რომ მეჯოგეებმა მიჰყვეს ხელი ბამბის გაშენებას, როგორც უფრო შემოსავლიან წყაროს ვიდრე მეჯოგეობა, მაგრამ რასაკვირელია სახელმწიფოს ინტერესი არ არის შემცირდეს მეჯოგეობა, მაგრამ იმავე დროს ბამბის გაშენებასაც უნდა მიესაღმოს და დახმარება გაუწიოს. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? რასაკვირელია, აქ უნდა მოვიდეს დასახმარებლათ თემების კავშირი, რომელმაც ორივე სამეურნეო დარგს უნდა შეუწყოს სხელი ერთის ან ორივე დარგის გავრცელებას. რა ხასიათი შეუძლიათ იქონიონ თემების კავშირებმა? ჩემი განმარტებით კანონპროექტის მე 9 და 10 მუხლისა,—თემებს შეუძლიათ დაარსონ სინდიკატები, რაც გამოხატავს განუყოფელ ქონების ფლობელობას რის მაგალითს იძლევა საფრანგეთის საზოგადოებების სინდიკატები, რომელნიც შექმნილია 1894 წლის კანონით. ეს სინდიკატები წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს განსაკუთრებულ ბიუჯეტით და განკარგულებითი ორგანოებით, რომელიც შედგება თემის საბჭოს ორი წევრის წარმომადგენლებისგან.

სინდიკატების დაარსებისათვის საჭიროა სახელმწიფო საბჭოს ნებართვა. საფრანგეთში ამ ხანამდე საზოგადოებების სინდიკატები დაარსებულია შემდეგი მიზნით: მდინარე რონის ნაპირების გასამაგრებლათ, გაზით განათებისათვის და ქსენობების აშენებისთვის. მაგრამ უნდა აღავნიშნოთ ისიც, რომ საფრანგეთის მთავრობა რამდენათმე სკეპტიკურათ ეპყრობა წვრილ ერთეულების შეკავშირებას. უფრო განვითარებულია შეკავშირებანი თემებისა ბელგიაში. ბელგიაში 1907 წ. კანონით საზოგადოებებს შეუძლიათ შექმნან კავშირები აქციონერული საზოგადოებების სახით კანალიზაციის და წყლის სამუშაოებისათვის იმავე მოვლენას ვხედავთ იტალიაში და პრუსიაში. რუსეთში კი რევოლუციის შემდეგ



კანონმდებლობამ, რომელიც იყო 1917 წელს 23 ივნისს მიღებული სრული უფლება მისცა შეკავშირებისა როგორც ერთმანეთში, ისე ქალაქებთანაც სხვა და სხვა მიზნებისთვის \*)

რა მიზნისთვის შეუძლიათ შეერთდენ და შეკავშირდენ ჩვენი თემები? პრაქტიკამ დასავლეთ ევროპაში, და კერძოთ რუსეთის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უფლება შეერთებისა სამაზრო კავშირებში, არის გამომხატველი თავისუფალი მმართველობისა. ჩვენში, —საქართველოში, როგორც ყველამ იცის, მთავრობა ნდობითაა აღჭურვილი ადგილობრივ ერობისადმი, რის გამოც ცენტრმა მიანდო ადგილობრივ ერობის ორგანიზაციებს, მთელი რიგი არა ერობის საქმეებისა იმ კატეგორიიდან, რომელსაც ეწოდება სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა. მაგრამ როცა სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობა, სახელმწიფოს აიძულებს დაავალოს მაზრის ერობასა და თემებს ხარჯების თუნდ ნაწილობრივ გაღებას, — ადგილობრივი კავშირები რასაკვირველია განვითარების მაგიერათ იგრძნობენ ერთნაირ ტვირთს, რომელიც ხელს შეუშლის მათს შემოქმედებას. სამუშაო კი ბევრია, —საკმარისია მოვიხსენოთ, დახმარება სოფლის მეურნეობის შესახებ, — როგორც სარწყავი არხების გაყვანა, შემოდება სარწყავი მეურნეობისა, მანქანებით ქაობის დაშრობა, და განვითარება სოფლის შინაურ მრეწველობისა და სხვადასხვა. ყველა ამ ზომების განსახორციელებლათ თვითონ თემები უღონო არიან, თემების კავშირებს კი შეუძლიათ მიაღწიონ მიზანს. ამისთვის თემის უფლება კავშირის დაარსების შესახებ —სრულიად შესაფერისია და დაიცავს ინტერესებს მთელი ერობების ცხოვრებისას.

ვლ. ტაჩივი — ანობაძე.

\*) საქართველოს „ერობათა კავშირზე“ და „ქალაქთა კავშირზე“ განსაკუთრებით მექნება ლაპარაკი.





## აქვთ თუ არა თემაზე უფლება მოქრავი კონაზის იკულაზითი ჩამორთევისა.

არ შეიძლება არ აღნიშნოთ, რომ თემების მიერ იძულებითი ქონების ჩამორთმევამ ერთგვარი გაუგებრობა და უთანხმოება შექმნა. ეს საკითხი საბოლოოდ გამოსარკვევად იუსტიციის მინისტრმა სენატს წარუდგინა. სენატმა ამ წლის ივლისის—13-ს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც აქვე მოგვყავს თემების საყურადღებოთ:

1920 წ. ივლისის 13-ს საქართველოს სენატმა მოისმინა იუსტიციის მინისტრის მიერ დაყენებული საკითხი: „აქვთ თუ არა თემებს უფლება ისარგებლონ 1919 წლის 11 ივლისის კანონის პირველი და მეორე მუხლებით ე. ი, იძულებით ჩამოართვან კანონში აღნიშნულ მიზნისათვის კერძო მესაკუთრეებს უძრავი ქონება—დროებით დაიჭირონ ან მის სარგებლობაში მონაწილეობა დააწესონ“.

დამფუძნებელი კრების მიერ 1918 წლის 11 ივლისის მიღებული კანონით, ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებს მათი მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში, კუთვნილებისამებრ, მიენიჭათ უფლება კერძო მესაკუთრეებისაგან უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევისა, დროებით დაჭერისა ან მის სარგებლობაში მონაწილეობის დაწესებისა. (მუხლ. 2). რას გულისხმობდა კანონმდებელი ერობათა თვითმართველობების ქვეშ, როდესაც მათ ასეთ უფლებას ანიჭებდა,—ეს კანონში გარკვეული არ არის; საერობო დაწესებულებათა ყველა ხარისხს, თუ მარტო სამაზრო ერობას, რომელიც მხოლოდ არსებობდა ამ კანონის გამოცემის დროს. წვრილი საერობო ერთეული, თემათ სახელწოდებული, როგორც ვიცით, საქართველოს რესპუბლიკაში ამ კანონის გამოცემის შემდეგ გაჩნდა. შეგვიძლია თუ არა იმიტომ, რომ 11-ივლისის კანონით ხმარობს ტერმინს „ერობათა თვითმართველობისას“, ვიფიქროთ, რომ კანონი იგი ვრცელდება წვრილ საერობო ერთეულებზედაც. ეს გადაწყვეტილება დაწერილია სენატორის ბ. გველესიანის მიერ.



თუმცა ამ საკითხზე გარკვეული პირდაპირი პასუხი თვით კანონის ტექსტში ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ იგივე კანონი სხვა საკანონმდებლო მასალასთან ერთად და აგრეთვე ზოგადი მოსაზრებანი გვაძლევენ საფუძველს დაყენებული საკითხი უარყოფილად გადავჭრათ.

1) არა გვაქვს რაიმე სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ როდესაც კანონმდებელი სხვათა შორის ერობათა თვითმმართველობას ანიჭებდა უფლებას უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევისას, 11 ივლისს, ე. ი. კანონის გამოცემის დროს, როგორც ვსთქვით, არ არსებობდა თემი არც ტერიტორიის და არც კომპეტენციის ფარგლებში ჩამოყალიბებული, სახელიც კი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონით, „(ამიერ კავკასიის საერობო დაწეს. დროებით დებულებით“) წვრილი საერობო ერთეული წინდახედული იყო, თუმცა არა ამ სახელწოდებით, და თუ მივიღებთ უდავოთ იმ დებულებას, რომ საზოგადოთ კანონი აწესრიგებს მხოლოდ სინამდვილეში არსებულ ურთიერთობას, — ძნელია ვიფიქროთ, რომ არა არსებულ დაწესებულებებისათვის, რომელიც კანონით წინდაწინვე განსაზღვრულ დროში არ აღმოცენდება, კანონმდებელმა იურიდიული ნორმები სწეროს;

2) 11 ივლისის კანონის მე-3 მუხლი ამბობს, რომ თუ ერობას დასჭირდა აღნიშნული უფლებით (ქონების იძულებით ჩამორთმევა და სხვა) სარგებლობა ამ ქალაქის ფარგლებში, რომელიც მის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამ შემთხვევაში იგი ქალაქის თვითმმართველობას უნდა შეუთანხმდეს. აქ კანონმდებელს სახეში აქვს ის შემთხვევა, როდესაც სამაზრო ერობის ტერიტორიაში შედის ქალაქი, მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ ასეთს ტერიტორიაზე არც ერთი ქალაქი არ მდებარეობდეს (როგორც მაგ. ლეჩხუმის, თიანეთის მაზრებია) და თემს კი, რომელიც სამაზრო ერობის ტერიტორიაში შედის, სურდეს ისარგებლოს ისეთი უფლებით, როგორც არის ქონების იძულებითი — ჩამორთმევა. საჭირო უნდა ყოფილიყო თუ არა ამ შემთხვევაში შეთანხმება სამაზრო ერობასთან. ცხადია, რომ საჭირო უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ წვრილი საერობო ერთეული — თემი, რომელიც მეტ წილად რამოდენიმე სოფელს შეიცავს, მეტის უფლებებით ვერ იქნება აღჭურვილი, ვიდრე სამაზრო ერობაა, რომელიც კანონით, ანალოგიურ შემთხვევაში ქალაქის თვითმმართველობას უნდა შეუთანხმდეს. და თუ მიუხედავად ამისა



11 ივლისის კანონის მე-3 მუხლი სრულიად არაფერს ამბობს შეთანხმებაზე თემისა სამაზრო ერობასთან, ეს, სენატის აზრით, იმიტომ არის, რომ კანონმდებელს 11 ივლისის კანონის გამოცემის დროს წვრილი საერობო ერთეული სახეში არ ჰქონდა.

3) უფლება მოვალეობანი საზოგადოთ ერობისა გათვალისწინებულია იმ „დროებითი დებულებით საერობო დაწესებულებათა ამიერ კავკასიაში,“ რომელიც ამიერ კავკასიის კომისარიატმა 1918 წლის 25 იანვარს გამოსცა და რომელიც დღემდე მოქმედი კანონია, თუმცა ცხოვრებამ მრავალი ცვლილებანი შეიტანა მასში. ამ დებულების ყველა ის მუხლები რომ გადავათვალიეროთ, რომელიც ყველა ხარისხის საერობო ყრილობათა განსაკუთრებულ კომპეტენციას საზღვრავენ (მუხ. მე—112, მე--113 ღ მე--114) ჩვენ დავინახავთ, რომ რაც უფრო დიდია საერობო ერთეული, მით უფრო ფართოა მისი უფლებები, მით უფრო დიდია მისი საჯარო ხელის—უფლება. აქ ერთნაირი თან-და თანობაა დაცული. კანონი წვრილს ერთეულს—ვოლოსტს, არ ანდობს ბევრს ისეთს ფუნქციას, რომელიც მასზე მაღლა მდგომს საერობო ორგანოს აკუთვნებს. აქედან ლოლიკურად გამომდინარეობს, რომ თუ ისეთი დიდი მნიშვნელობის და სიდიადის უფლებას, როგორც არის უფლება ქონების იძულებით ჩამორთმევისა, კანონმდებელი ანიჭებს, 11 ივლისის კანონი ქალაქის თვითმართველობას და სამაზრო ერობას, იგივე კანონმდებელი ასეთი უფლებით, უნდა ვიგულისხმოთ წვრილ საერობო ერთეულს—თემს, ტერიტორიით მეტად მცირეს, ხოლო ორგანიზაციით მეტად სადას და მარტივს,—არ აღკუთრვიდა და იმ თანდათანობას კომპეტენციის სფეროში არ დაადგენდა, რომელიც შეადგენს საერობო კანონმდებლობის საერთო ხასიათს;

4) და, დასასრულ, ამავე დასკვნამდე მივყევართ ჩვენ შემდეგ მოსაზრებასაც: სამაზრო ერობა და თემი ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მდებარეობენ, ყოველი თემი სამაზრო ერობის ტერიტორიის ნაწილია. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ყოველად დაუშვებელია, რომ კანონმდებელს მიეცა ორ ერთნაირ დაწესებულებისათვის, როგორც არის სამაზრო ერობა და თემი, რომელთაგან ერთი დაბალი საფეხურის თვითმართველობის ორგანოა და, მაშასადამე, ქვემდებარე შერევის ერთნაირი ღ ამასთანავე სრულიად დამოუკიდებელი, უშუალო უფლება ჰქონდეს ქონების იძულებითი ჩამორთმევისა. ეს რა თქმა უნდა, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თემი იმ საზოგადოებრივ „მოვალეობათა განსახორციელებლად“, რომელზე-



დაც ამბობს 11 ივლისის გან. მე-2 მუხ. მოკლებული იყოს საშუალებას მიიღოს იძულებით ჩამორთმეული ქონება ან დროებით დაიჭიროს იგი ან მისი სარგებლობაში მონაწილეობა დაიწესოს; მაგრამ ამისათვის მას სხვა გზა არა აქვს, გარდა შუამდგომლობის აღძვრისა სამაზრო ყრილობის წინაშე, რათა იმ უფლების ძალით, რომელიც მინიჭებული აქვს სამაზრო ერობას 11 ივლისის კანონით თვით ერობამ გამოიტანოს დადგენილება მამულის ჩამორთმევის შესახებ იმ საზოგადო საჭიროებისათვის, რომელიც ნაჩვენებია იქნება თემის შუამდგომლობაში, თუ მას სამაზრო ყრილობა მიზანშეწონილად სცნობს. ასეთი შუამდგომლობის წარდგენის უფლება წვრილს საეროებო ერთეულს არსებული კანონებით აკრძალული არა აქვს.

მიიღო რა ყოველივე ზემოთქმული მხედველობაში, მოისმინა რა დასკვნა პროკურორისა, სენატის საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებამ და ა დ გ ი ნ ა: დაყენებული საკითხი გადაიჭრას უარყოფილად.



ტფილისის სამაზრო ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილების წარსული საქმიანობის და ახლო მომავლის სამოქმედო გეგმის მოკლე მიმოხილვა.

უპირველესად ყოვლისა ს.—ს. განყოფილება თავის მომავლის საქმიანობაში საავადმყოფოებისათვის შესაფერისი შენობის შექმნას ისახავდა მიზნად. აქამდისინაც საეროებო საავადმყოფოები კარგ სახლებში უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებულნი, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა. ზოგიერთ თემში სრულებით არ მოიპოვება საავადმყოფოებისათვის შესაფერი შენობა. მაგრამ თუ გამოსძებნეთ თემში რომელიმე შენობა დიდის გაჭირვებით საავადმყოფოსათვის გამოსადეგი—მას ან პატრონი არ იძლევა ან კიდევ ისეთი დიდი ხარჯები ესაჭიროება გადასაკეთებლად, რომ პირდაპირ მიუღებელი ხდებოდა იმისთანა სახლის აღება და მოწყობა. განყოფილება ვერ ღებულობდა თავის თავზე მოვალეობას სხვის სახლებში ეწარმოებინა საძირკველ-ყავრამდე შეკეთება. აუარებელი ფული



ეხარჯნა და პატრონითვისაც პირველსავე მოთხოვნილებათვედ შენობები ეცალნა. რასაკვირველია შეიძლებოდა ერობის მხრივ ხანგრძლივი ხელშეკრულების დადება, მაგრამ შენობათა პატრონი მრავალწლიან ვადებზედ უარს აცხადებდნენ და განყოფილება ამ მხრივ ვერავითარ სასურველ მიზანს ვერ აღწევდა. და აი ამით აიხსნება ის სამწუხარო მდგომარეობა, რომ დღეს საერობო საავადმყოფოებს და ამბულატორებს არც ერთს არა აქვთ შესაფერისი ბინა.—მით უმეტეს რიგიანათ მოწყობილი სამკურნალო მეცნიერება — ტენიკის მიხედულებით. ზოგ თემში საავადმყოფოს შენობა კიდევ ჰგავს ადამიანის საცხოვრებელ ბინას, ზოგგან კი პირდაპირ მიუტყვევებელია იქ ან ავადმყოფის მიღება და მოვლა ან კიდევ პერსონალის შიგ დასახლება და მისი აქ ცხოვრება. მაგრამ რას უზამთ აუცილებლობას, როცა შექმნილ მდგომარეობიდან ვერავითარ გამოსავალს ვერ ხედავთ და არც არის. შემდეგში ასე საქმის დაყოვნება პირდაპირ დიდი დანაშაული იქნებოდა, როგორც საქმის ისე ხალხის წინაშე. და აი ამიტომ განყოფილებამ გადასწყვიტა დღევანდელი დღის სამწუხარო მდგომარეობას ბოლ მოუღოს. დღეს ერობის მხრივ ახალი შენობის აგება ანუ ჩვენი დარგისთვის ამშენებლობის დაწყება ყოველად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. ეს მხოლოდ ტკბილი ოცნებაა შორეული მომავლისა. ასეთ დაწყებულებისათვის, ერობის ეკონომიურ კრიზისის დროს, არც ფული გამოიხსნებოდა საკმარისი და არც ჩვენი დაწესებულებისათვის სპეციალური ქონება და მოწყობილობა აღმოჩნდებოდა ბაზარზედ. მაშასადამე ამ გზას უნდა თავი დავანებოთ. ერთად ერთი საშუალება, რომლითაც შეიძლება საერობო საავადმყოფოებისათვის ცოტად თუ ბევრად შესაფერი შენობები გამოიხსნოს—განყოფილების აზრით—არის შემდეგი: ყოველივე თემში საუკეთესო შენობა—საავადმყოფოსათვის ყველაზედ უფრო გამოსადეგი—ერობის მიერ იძულებით შესყიდულ უნდა იქნას თანახმად რესპუბლიკის კანონმდებლობისა.

ამ გზით შექმნილ თავის საკუთრებას ერობა ისე მოიხმარს ან გადააკეთებს, როგორც მას დასჭირდება. და უექვევლია ახლო მომავალში ერობის საავადმყოფოები თავის მდგომარეობით, დაახლოვებით მაინც, სამეცნიერო ტენიკის მოთხოვნილებათ დააკმაყოფილებენ, და ერობის ავადმყოფნი შესაფერის პირობებში ჩადგებიან და იმ მოვლა-პატრონობას მიიღებენ, რაც მათ ესაჭიროებათ. სხვა გამოსავალი დღევანდელი მდგომარეობიდან ჩვენის აზრით არ არის. და იმედია ყრილობა, რომელსაც განყოფილების შუამდგომლობა წარედგინება (ყველა თემში სა-



ავადყოფოსათვის საჭირო შენობის ჩვენებით) დაადასტურებს მის თხოვნას, რითაც დიდი საშვილიშვილო კულტურული საქმე გაკეთდება.

ერობის ს.—ს. განყოფილება საავადმყოფოების საკუთარ შენობებში გაათევეებს იმ ორგანზაციულ შემოქმედებითი მუშაობას, რომელიც ჯერ-ჯერობით ჩვენ საავადმყოფოებში არ დასრულებულა. შემდეგი მორიგი საფეხური განყოფილების მუშაობისა სამკურნალო საქმიანობის სპეციალობად დაყოფა—დანაწილებაში უნდა გამოისახოს. წამლეულობის მხრივ ქალაქის მცხოვრები სულ სხვა მდგომარეობაშია შედარებით სოფლის მცხოვრებთან. მოქალაქე ქალაქ ადგილას იღებს იმ სამკურნალო დახმარებას, რა სპეციალობისაც მას ესაჭიროება. სოფლელი კი სპეციალობას მკურნალობაში მოკლებულია. მას შეუძლიან, რასაკვირველია, ქალაქში შემდეგ დიდი შრომა-ხარჯებ-დავიდარაბისა მიაღწიოს შესაფერის სპეციალისტს და იქ მიიღოს დახმარება. მაგრამ ეს ნაკლი აღარ ექმნება სოფელს საექიმო დარგში, თუ მას ერობის ს.—ს. განყოფილება ყველაფერს ადგილობრივ მისცემს და თავის სამკურნალო დაწესებულებებში სპეციალურ დახმარებას მოაწყობს. მერე რა რიგ ესაჭიროება სოფელს სპეციალური დახმარება-თუ გნებავთ, მაგალითად, საბეზიო—გინეკოლოგიურ დარგში. ჩვენი სოფლის ქალები, მეტადრე დედები, ქალური ავადმყოფობით უკიდურესად არიან დაავადყოფებულნი. ათში ორი სამი შეიძლება ჯანსაღი იყოს, დანარჩენი ექვსი ან შვიდი რომელიმე ქალური სენით არის შეპყრობილი და ვერც ოჯახს ადგება და ვერც დედობის დანიშნულებას ასრულებს. სხვა სპეციალური დარგებიც არა ნაკლებ ესაჭიროება სოფელს. უდოსტაქროთ სოფელში პირდაპირ იღუპება ხუთი ათი პროცენტი მაინც მამაკაცებისა, ეგრედ წოდებულ „ფერდის ქარით“ ანუ „გრიჟით“. ძალიან დიდია ის ეკონომიური ზარალი, რომელსაც სოფელს აყენებს მარტო აი ეს ერთი ქირურგიული ავადმყოფობა—ფერდის ქარი—ვინაიდან იგი ბევრს, ჯერ ისევ შუახნის, შრომის უნარ მოუკლებელს ვაჟაკს—ასწეულებს, უძლურად ხდის, რაც სოფლის და სახელმწიფოს ზარალად უნდა ჩაითვალოს.

დანარჩენი სპეციალობანიც, როგორც შემოდ მაგალითად დასახელებულნი, სოფელს არა ნაკლებ ესაჭიროება. ამიტომაც, რომ ს.—ს. განყოფილებამ საქმიანობის მორიგ მიზნად საერობო სამკურნალოებში სპეციალობის განხორციელება დაისახა.—მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად ყურადსაღები გარემოება: სოფელს საუკეთესოდაც რომ მოუწყოთ წამლობითი დახმარება, მივცეთ ყოველმხრივი მკურნალური



სპეციალობითი შველა—მაინც უმთავრეს მიზანს—ხალხის გაჯანსაღებას—ვერ მიაღწევს ერობა, თუ წამლობით მედიცინას მან გვერდში არ ამოუყენა ფართე სანიტარული დახმარება და მუშაობა. აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება ძირიან ფესვიანად გარდაიქმნას ჩვენი სოფლის უკუღმართი—უკიდურესად ანტისანიტარული ცხოვრება; შეეცვალოს ან სრულიად მოსცილდეს სოფელს ბევრი მის ყოფა-ცხოვრების დამაზარალებელი და დამღუპველი წესი და ადათი, როგორცაა მაგალითად ქელეხი, მკითხაობა და კიდევ ბევრი სხვა. რა წამალი უნდა მიუღდეს ან რა სასურველი შედეგი უნდა მოგვეცეს წამლობამ სოფლის მცხოვრების ოჯახურ დღევანდელ მდგომარეობაში. მაგალითად გინდათ გახადოთ, რომ გასინჯოთ სიცხიანი ავადმყოფი, მაგრამ შიშობთ რომ უფრო არ გააციოთ და სხვა ფრივ არ გაურთულოთ მდგომარეობა, რადგან ავადმყოფი ისეთ სახლში წევს, რომ მას ყოველ მხრიდან უბერავს და საგრძნობლად ცივა სახლში. მეორე მაგალითი—ქლექით ავადმყოფს მუდამ სუფთა, განახლებული ჰაერი ესაჭიროება, მაგრამ როგორი სისუფთავის დაცვა შეიძლება ან ჰაერის ან კიდევ საზოგადოდ უბრალო ადამიანური სისუფთავისა, რომ იქ, სადაც სულთმობრძავი ქლექიანი წევს იქვე—მის მახლობლად ღორი, ქათამი და სხვა შინაური საქონელი მოუთავსებია ავადმყოფის პატრონს; მესამე მაგალითი—ქარებით ავადმყოფს მშრალი, უნესტო ბინა ესაჭიროება, მაგრამ როგორ შეიძლება ლაპარაკი ასეთ ბინაზე, როცა ავადმყოფს ერთი ქვითკირის ოთახი უდგია და ოთახში კედლები ჩამოსტირიან—კედლის ძირში მიწა ატალახებულა, საშინელი შმორის და სინესტის სუნი გიხუთავთ გულს. ამისთანა მაგალითები უთვალავია და აი ასეთი ბევრი, ძალიან ბევრი უკუღმართობაა ჩაჩხირული ექიმური საქმიანობის, ექიმის რჩევა—დარიგების, მისი აზრით ავადმყოფისათვის საჭირო ზომების და ავადმყოფის გარშემო საუკუნოებით შექმნილ ცხოვრების პირობებსა და წეს-ადათის შორის. აი ის ცხოვრების უკუღმართობა, სინამდვილის მეცნიერებასთან წინააღმდეგობა უნდა ფართე სანიტარულმა მუშაობამ მოსპოს და დღევანდელი ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრება წინააღმდეგზე შესცვალოს. რა სოფელია ის სოფელი, რომელსაც საკმარისი ჯანსაღი წყალი არ აქვს დასალევი. და განა რამდენია ჩვენში ისეთი სოფელი, რომელშიაც ძალი, ღორი და ყოველგვარი სხვა პირუტყვი ერთსა და იმავე ატალახებულ, ბინძურ წყალსადენიდან სვამენ წყალს—წყაროა იგი თუ მოწანწყარე რუ. რასაკვირველია ასეთი წყალი, ძალიან ხშირად ბევრნაირი



გადამღები სენის ბუდეთა ხდება და უკანასკნელ შემთხვევაში თითონ ხალხი—თავისავე ხელით, წყალთან ერთად მოარულის (მაგალითად ხოლერის, ტიფის) გამავრცელებელ ბაცილებსაც მიეზიდებიან თავის ოჯახობაში და იქ თავის შეუფერებლობით ავრცელებს სენს და წუთის სოფელს ასალმეს თავისავე ძმას, დას, დედას, შვილს და სხვას.

და განა ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან მარტო ბინის და წყლის საკითხები სანიტარიის მორიგ საკითხებად არიან გადაქცეულნი. არა სხვა სანიტარული საკითხებიც იმავე სიმწვავეით და სიჩქარით მოითხოვენ რადიკალურად გადაჭრას, რომ სოფლის დულჭირი ცხოვრება შეიცვალოს, შეხამდეს, მაგალითად, სოფლის ოჯახის სიბინძურეს და უსუფთაობას ხომ ყოველნაირი ზომა და საზღვარი აქვს გადალახული და მათ მორევში—ჩაფლულს—ჩვენი სოფლის ქალს თუ კაცს, ლამის არის ადამიანის იერი დაეკარგოს. ტანისა, თავისა და ტანისამოსის უსუფთაობაზე, ფეხთუშობაზე ხომ ლაპარაკი აღარა ღირს. ვერც სიტყვა, ვერც ფერადი საღებავი მის გულის შემზარავ სინამდვილეს ვერ გამოხატავს. ადამიანმა ტანის ცხელი წყლით დაბანვა—რა არის არ იცის—და აბანოზე ხომ მასთან ლაპარაკმა მხოლოდ გაუგებრობა და შეიძლება დაცინვის ღიმილიც გამოიწვიოს. და აი სოფლის ასეთ ყოველმხრივ უკიდურეს ანტისანიტარულ მდგომარეობას რაც შეიძლება ჩქარა ერობის სანიტარული მუშაობის ხელი უნდა მოხვდეს. ხელი მტკიცე, ენერგიული და მუყაითი, რომ სოფლის დღევანდელი ჯოჯოხეთური სინამდვილე, რაც შეიძლება ჩქარა წინააღმდეგ მდგომარეობაზე შეიცვალოს. ამისთვის აი რა არის საჭირო.

ა) წყლის საკითხი. ს. ს. განყოფილებამ ტენიკებთან ერთად უნდა დაიბუშაოს სოფლის საჭიროებისათვის მისაღები წყალსადენების გეგმები. ისეთი თადარიგით აწარმოონ მუშაობა, რომ უახლოეს სამი ხუთი წლის განმავლობაში მთელს მაზრაში, სადაც კი როგორი წყალსადენის გაკეთება იქნება მოსახერხებელი, ყველგან წყალსადენები მოაწყონ დაწყებული უბრალო დახურული ჭებიდან გათავებული დაფარული მილებიან წყალსადენით.

ბინის საკითხი. უნდა შემუშავდეს სოფლის საჭიროებისათვის მისაღები გიგიენური „სოფლის სახლის ტიპი“ და მას ფართე პროპაგანდა გაეწიოს სოფლის დასარწმუნებლად, რომ დღევანდელი მისი სახლი ბევრის მხრით მისი ჯანმრთელობისათვის მაზარალებელია და დამღუბველი. ამ დაწყებულებას ზედვე უნდა დაერთოს და განხორციელდეს მეო-



რე მხარე ამავე საკითხისა—ჩვენი სოფლების—სახლების წინასწარ დამუშავებულ გეგმებით გაშენება და უკვე არსებულთა თანდა-თანობით ახალი გეგმით გადასწორება და სახლების მწყობრი ქუჩებით გაშენება, თორემ ჩვენი სოფლების დღევანდელი სურათები მტერსაც კი სინანულს და სიბრალულს გამოათქმევინებენ და დროა ამ მხარეს ერობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

**ტანთ-ფეხთ საცმელის საკითხი.** ამ საკითხში ისე, როგორც თითქმის ყველა სანიტარულ საკითხებში-ერობას ახლო მომავალში მთელი რეფორმატორული მუშაობა დასჭირდება. ჩვენი სოფლის ტანთსაცმელი ძალიან მკირედი ცვალებადობით შექცეულია ძველი დროის ისტორიის ნაშთია და გიგიენურად ჩვენი მხრის ზომიერი ჰაერისთვის მეტადრე გაზაფხულ ზაფხულში-მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. სიცოცხლის მყოფელ მზის სხვივებისაგან ადამიანს თავისი სხეული, თავის და საზარალოდ, ყოველ მხრიდან დაუჩულ-დაუფარნია და მით ერთი უმთავრესი ფაქტორი ჯანმრთელობისა-მზის სხივი თავიდან მოუშორებია. ჩვენს ხალხს ბევრად სხვანაირი, ვიდრე დღეს აქვს ფორმის და გამოჭრის ტანთ-ფეხთ საცმელი ესაჭიროება მეტადრე ჩვენს მოზარდ ახალგაზრდა თაობას.

**პირადი და ზოგადი გიგიენა.** დიდი ბეჭვდითი და სიტყვიერი პროპაგანდა საჭირო სოფელში, რომ ჩვენს ხალხს შევაგებინოთ პირადი და ზოგადი პრინციპების-გიგიენის პრინციპების აუცილებლობა და საჭიროება. შემოდგომა-ზამთრობით ჩვენს სოფელში ტალახში შეიძლება ჩაიხრჩოს ადამიანი და ზაფხულობით კი მტვერი და სიბინძურის სუნი სწამლავს ჰაერს და მით ადამიანსაც. უსწორ-მასწოროდ, მიყრილ-მოყრილ სახლებში, ბოსლებში ბაკებში წარმოუდგენელი უსუფთაობაა. უსუფთაობის ასეთ მორევში მდგომი ადამიანიც, რასაკვირველია, მუდამ ქუჩყსა და ვაივაგლახშია... ადამიანს ზედ აცვდება ერთად ერთი მისი ოფლისა და ქუჩყში გაპოხილი პერანგი. იშვიათად თუ გაიხდის პაიჭებს, იმიტომ კი არა, რომ არ შეეძლოს მეორე ხელი საცვალ-ტანისამოსის ყიდვა, - არა-ჩვენს მამა-პაპასაც ასე უცხოვრია და ესე დახოცილა და აბა მისი შვილი ან შვილის შვილი, ერთხელ გატყეპნილ უკუღმართობის ბილიკს ხომ ვერ ასცილდება. ისიც ბრმად, შეუგნებლად იმავე სიბინძურის და ქუჩყის გზით მიდის. და აი ერობამ ჩვენი ამ გზით ძველებურად მიმავალი სოფელი რაც შეიძლება ჩქარა სხვა გზაზედ, პირადი და ზოგადი გიგიენის კულტურულ გზაზედ უნდა გადმოიყვანოს. ეს იქნება ერობის მხრივ თავის ხალხის და ისტორიის წინაშე მოვალეობის



აღსრულება. გარდა ზემოდ მოკლედ განხილულ სანიტარულ საკითხებისა ერობის ს.ს. განყოფილება სხვა სანიტარულ საკითხებსაც, თანახმად მეცნიერების მოთხოვნილებისა, ახლო მომავალში ეცდება განხორციელების გზა მისცეს, რომ მით ქართველმა ერმა სხვა მოწინავე განათლებულ ერებთან ერთად კულტურულ ცხოვრებაში თანასწორი საფეხური დაიკავოს.

ექიმი ი. ლომოური.



## ეროვის უფლებრივი მხარე სპეციალურ დარგში.

ჩვენის აზრით, სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიური გაჯანსაღება დამოკიდებულია, არა ნაკლებ წარმოებისა და აღებმიცემობისა, სასოფლო-სამეურნო ცოცხალი ინვენტარის მოშენება—გამრავლებაზე თანამედროვე სავეტერინარო მეცნიერების მოთხოვნილების მიხედვით; სანამ სასოფლო-მეურნეობაში არ არის შემოდებული ორთქლით მავალი გუთანი, სანამ ადამიანის უპირველესი საზღოება—ხორცეულობა არ მზადდება რომელიმე ქიმიური საშუალებით, მანამდე სასოფლო-მეურნეობაში დამამუშავებელ საშუალებად რქოსანი საქონელი და ცხენი უნდა ითვლებოდეს. მეორეს მხრით—ხალხის ჯანმრთელობის დაცვა უმთავრესად აგებულია ავადმყოფობის წინასწარ აცილების პრინციპზე და არა წამლობაზე; ეს კი შეიძლება მაშინ, როდესაც დასაკლავი საქონელი სპეციალისტების მიერ იქნება შემოწმებული სიცოცხლითვე და ხორცეულობის ნედლი მასალა იქნება გაშინჯული ნორმალური ვეტერინალური აპარატის საშუალებით.

ეროვის უფლებობა არც ერთს დარგში ისე არ გამოსჭვივის, როგორც სავეტერინარო დარგში; ბედ-იღბალი აღნიშნული დარგისა დღესაც არ არის გონივრულად გამორკვეული და მოწესრიგებული. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებობს ვეტერინალურ—სანიტარული



განყოფილება და მის განკარგულებაში მყოფი „პუნქტოვოი ვეტერინარების“ ინსტიტუტი. აღნიშნული მმართველობის გაუქმება და საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირთან ნამდვილი შინაარსის ვეტერინალურ სანიტარულ განყოფილების დაარსება დიდხანია ჩაისახა ვეტერინალურ კორპორაციის მიმდინარეობაში; ამის მოტივი ორ გვარია: მოტივი—არსებითი ხასიათისა და მოტივი—იურიდიული ხასიათისა. რომ ნათელ ვცოთ არსებითი მხარე პირველი მოტივისა, საჭიროა განვიხსენოთ ისტორია იმ სავეტერინარო რეფორმისა, რომელიც რესპუბლიკანურმა მთავრობამ შემოიღო საქართველოში, დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. დღიდან სამაზრო ერობების შემოღებისა, გაუქმებულ იქმნა, საგუბერნიო ვეტერინალურ ინსპექტორების ინსტიტუტიც და, მის განკარგულებაში მყოფნი, სამაზრო და საუბნო ვეტერინალური ექიმები იურიდიულად და ფაქტიურად გადავიდნენ ერობების განკარგულებაში. მოუტანა თუ არა ამ რეფორმამ სარგებლობა ჩვენს ხალხს? ეს რეფორმა იყო უაღრესად სასარგებლო და მიზან შეწონილი. ამის დასამტკიცებლად საკმაოა მოვიყვანოთ საეროხო ვეტერინალურ ცხოვრებიდან ფაქტები. ამა წლის 25 თებერვალს მომხდარ ვეტერინალურ ექიმთა ყრილობაზე წარმოდგენილი მოხსენებები ამტკიცებენ, რომ იმ საშუალებით, რომლის გატარების დროს წინათ ჯარები გამოყავდათ ხალხის დასატუქსავად, დღეს მარტო ერთი ექიმი სასწაულს ახდენს და საქონლის ჭირს სპობს. ჩვენ ვგულისხმობთ ჭირთან ბრძოლის საშუალებას „ეგრედ წოდებულ, способъ карантинирования зачумленной деревни“. ამ საშუალებით საქონლის ჭირი მოუსპიათ ორ ადგილას ქუთაისის გუბერნიაში და ერთს ადგილას ტფილისის სამაზრო ერობაში. ეს კიდევ ცოტაა—ვეტერინალურ ექიმების ხალხთან დაახლოვებას თან მოჰყვა ვეტერინალურ საქმიანობის პოპულიარისაცია და მისი სარგებლობის ხალხის ძვალ-რბილში გაჯდომა; ამას ამტკიცებს შორაპნის სამაზრო ერობის ნაბიჯი, რომელიმაც გადასწყვიტა ააშენოს საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელი სადგური და ეს გადაწყვეტილება მან სისრულეში მოიყვანა კიდევ. ამ სადგურის აშენება შორაპნის სამაზრო ერობას დაუჯდა 80,000 მანეთი, მაშინ, როდესაც მთავრობის სადგურს მოხმარდა რამოდენიმე მილიონი, მხოლოდ სადგური ჯერაც არ არის მზად. საერთოდ დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს საგუბერნიო ვეტერინალურ ინსპექციის გაუქმებამ და მისი ფუნქციების ერობის ხელში გადასვლამ.



სამწუხაროდ, ეს რეფორმა ვერ მივიდა ლოგიკურ დასკვნამდე: სამინისტროსთან არსებული, ვეტერინალურ სანიტარული განყოფილება, თავის პუნქტოვოი ვეტერინარების ინსტიტუტით, დღემდის არ არის გაუქმებული და საერობო ვეტერინარიისადმი მამინაცვლის როლს ასრულებს; თუ დღემდის სამინისტროს ვეტერინალურ-სანიტარულ განყოფილების არსებობა კიდევ შეიძლებოდა რაიმე მიზეზებით აგვეხსნა და შეგვეწყნარებინა, დღეს, როდესაც სამაზრო ერობებს გარდა, უკვე შემოდებულია მცირე ერთეულები—თემები, სამინისტროს ვეტერინალურ-სანიტარულ განყოფილების და პუნქტოვოი ვეტერინარების ინსტიტუტის არსებობა სულ ზედ მეტად და უსარგებლოდ უნდა ჩაითვალოს.

რომ უფრო ცხად ვყოთ ჩვენი აზრი საქიროა მოკლედ განვიხილოთ ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ, სამინისტროს ვეტერინალურ-სანიტარულ განყოფილების გამგე და პუნქტოვოი ვეტერინარები. კავკასიის სამოქალაქო უწყების სავეტერინარო ნაწილის გამგის ფუნქციას შეადგენდა, წინეთ, 1) საქონლის ჭირთან საბრძოლველად მეცნიერულ და პრაქტიკის გზით შემუშავებული საშუალებების გატარება საგუბერნიო ინსპექტორების და მის განკარგულებაში მყოფ სამაზრო ექიმების ხელით, 2) განაწილება იმ სპეციალური თანხისა, რომელიც იკრიბებოდა სამრეწველო საქონელზე დადებულ საპროცენტო გადასახადებისაგან და რომელიც იხარჯებოდა ექიმების ჯამაგირებზე და საქონლის ჭირთან ბრძოლის დროს გამოწვეულ ხარჯებზე. იგივე ფუნქციები შერჩა ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების გამგეს დღეს. ყველამ კარგად უწყის, რომ საქონლის ჭირის და სხვა ეპიზოოტიების მოსასპობად უკვე გამოჩახული საშუალება ტარდება ადგილობრივ საერობო ექიმების მიერ და ეს უკანასკნელნი კმაყოფილდებიან ჯამაგირით საერობო თანხიდან. კარგათ უწყის ისიც, რომ იძულებით დახოცილ და აცრის შემდეგ მომკვდარ საქონელში არავითარ ანაზღაურებას არ აძლევენ ხალხს, კარანტინებს და სხვა გვარ ხარჯებს ისტუმრებს თვით ადგილობრივი საერობო მმართველობა ან ნატურით, ან და ფულით, რომ თვით შრატსაც კი ხალხი ყიდულობს ნაღდ ფულზე და იმასაც ვერ შოულობს თავის დროზე; მიუხედავად ასეთი ფაქტიური ცვლილებისა ხელმძღვანელობა ადგილობრივ საერობო მუშაკებისა და მათი გაერთიანება დღეს არ არის გადაცემული იმ ორგანოს ხელში, რომელსაც ძალუძს განახორციელოს უმთავრესი საერობო სავეტერინარო მოთხოვნებიანი:

1) გამონახვა საშუალებებისა სავეტერინარო ნაწილის საუკეთესოდ



მოსაწყობად და საქონლის კლექის თავიდან ასაცილებლად.

2) შედგენა სავეტერინარო ექიმებისთვის დარიგებისა და ინსტრუქციებისა.

3) ახალ-ახალი კვლევა-ძიება და აღმოჩენა პრაქტიკულ ვეტერინარიაში.

4) გამონახვა და განმარტება იმ საშუალებების, რომელიც უადვილებს მოგზაურობას სამრეწველო ნახირსა.

5) განხილვა დაავადმყოფებულ საქონლისთვის სადგომის აშენებით.

6) დამუშავება დაგროვილ სტატისტიკურ მასალის საკითხისა.

7) შინაურ საქონლის ავადმყოფობისა და სიკვდილის სხვა და სხვა მიზეზთა შესწავლა.

8) წარმოება სტატისტიკურ გამოკვლევის საქონლის ყოლისა და მოშენების შესახებ.

9) შედგენა სავეტერინარო ნაწილის წლიური ანგარიშებისა.

10) შექმნა გეგმების და დასკვნებისა სავეტერინარო ყრილობებისთვის.

11) სამკურნალოების გამრავლება-გაფართოება.

ასეთ ორგანოდ ჩვენ მიგვაჩნია დღეს დღეობით ეროკავშირის კომიტეტი და მის გვერდში მდგომი სავეტერინარო განყოფილება, საქონლის ქირთან, როგორც ეპიზოოტიასთან, ისე როგორც სხვა ეპიზოოტიებთან, ბრძოლა შეადგენს ადგილობრივ თვითმართველობების უმთავრეს საგანს და აუცილებელ მოვალეობას; მთავრობის ხელშია უმაღლესი ზედამხედველობა, კონტროლის სახით. საქმარისა ყოლა ერთი კონსულტანტისა, რომელსაც ნიშნავს თვით სამინისტრო. მოწინააღმდეგებს მოჰყავთ კიდევ ერთი მოსაზრება, თუ კი სამინისტროს მედიკო-სანიტარული განყოფილება არსებობს, უნდა არსებობდეს სამინისტროს ვეტერინალურ-სანიტარული განყოფილებაცო. მთავრობის მედიკო-სანიტარულ განყოფილებას თვით არსებობის საფუძველი დღეს-დღეობით კიდევ აქვს. საქმე იმაშია რომ აღნიშნულ მმართველობას აწევს ერთი დიდი საპასუხისმგებლო საქმე—ეს არის სამსჯავრო მედიცინა (судебная медицина), რომლის გულისათვის იგი ინახავს სამაზრო ექიმების მთელ შტატს; ამის გარდა—მის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან არსებული აფთიაქები, რომელთა ნორმალური მუშაობა დამყარებულია მედიკო-სანიტარული განყოფილების ფხიზელ მეთვალყურეობაზე. აქვს რამე ამის მზგავსი საშუალო სამინისტროს ვეტერინალურ-სანიტარულ განყოფილებას? რასა-



კვირველია არა. ამიტომ მისი შედარება მედიკო-სანიტარულ განყოფილებასთან გაზვიადებულია.

თუ მხედველობაში მივიღებთ ვეტერინალურ ექიმთა ყრილობის გადაწყვეტილებას, რომ უპირველესად ყოვლისა უნდა აიკრას მთლად საქონელი იმ სოფლებისა, რომელნიც მოსაზღვრებენ სხვა რესპუბლიკებთან და სახელმწიფოებთან, მაშინ პუნქტოვანი ვეტერინარების ინსტიტუტის გაუქმება თავის თავად ცხადი შეიქმნება. სამინისტროს საბეითლო—სანიტარულ განყოფილების არსებობას ასაბუთებენ კიდევ საბეითლო კანონ-პროექტების შემუშავების და საბეითლო მეცნიერულ საკითხების გაშუქების საჭიროებით. მეცნიერული კითხვები უნდა სწყდებოდეს მეცნიერების ტაძარში, სადაც ამისათვის მეცნიერულად მომზადებული ხალხიც მოიძებნება და გარემოებაც ხელს შეუწყობს;

ამისათვის—საბეითლო ინსტიტუტში, თუ იგი ახლო მომავალში დაარსდება, ან უნივერსიტეტში, თუ იქ საბეითლო ფაკულტეტი გაიხსნება, უნდა დაარსდეს მეცნიერული კომიტეტი, რომლის ხელშიაც უნდა იყვეს საბეითლო სამეცნიერო კითხვების გადაწყვეტა და საბეითლო კანონ-პროექტების შედგენაც. იურიდიულ მოტივებს, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, როდესაც მოვითხოვთ სამინისტროს საბეითლო—სანიტარულ განყოფილების გაუქმებას და ერობათა კავშირთან იმავე დარგის განყოფილების დაარსებას, შეადგენს მუხლები იმ სამედიცინო პოლიციის წესდებისა, რომელიც მოქმედობს საქართველოს რესპუბლიკაში და რომელშიაც განმარტებულია ერობის გამგებლობა სავეტერინარო საქმეებში.

ვეტერ.—ექიმი გრ. მამამთავრიშვილი.





## ხეხილის ბაღის გაშენება.

ნარინჯოვანი ხეხილის ბაღისათვის ადგილ-მდებარეობის არჩევა. ნარინჯოვან ხეხილის ბაღისათვის ადგილის მდებარეობის არჩევას, მომავალ ბაღისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ადგილის მდებარეობა რიგიანად არჩეულია, თითქმის ნახევარი საქმე გაკეთებულია. კომერციული მოსახრებით, მხოლოდ იქ შეიძლება გაშენება, სადაც შესაფერი მიწის მდებარეობა არის, ამიტომ აუცილებელად საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს, როგორც საბალო მიწის მდებარეობას, აგრეთვე ნიადაგის თვისებასაც. თუ ნიადაგი შეუფერებელია, ცუდათ არის არჩეული, შეიძლება მისი გაუმჯობესება ე. ი. შესაძლებელია გამოიცივლოს ნიადაგის შემადგენლობა, განოცივრდეს, თუ ჭაობი ადგილია—გაშრეს, მშრალი მოირწყოს, მაგრამ ადამიანისთვის შეუძლებელია მიწის მდებარეობის გამოცვლა. ეს არ ძალუძს ადამიანს. ხელოვნება აქ არ შეეღის, ამისთვის მხოლოდ ბუნების ძალაა საჭირო. ნიადაგის ხელოვნურად გაუმჯობესება ნარინჯოვანი ბაღისათვის იწვევს დიდს ხარჯს და თხოულობს დიდს ენერჯიას და შრომას. ხოლო მებაღეობა კი თხოულობს, რაც შეიძლება ნაკლები დაიხარჯოს და მეტი სარგებლობა გამოიღოს. ამ უკანასკნელი მიზნის განსახორციელებლად საჭიროა თავის დროზე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ბაღისათვის მიწის მდებარეობას და მის ნიადაგს, თუ უკანასკნელი შესაძლებელია. მიწის მდებარეობა ბევრნაირია, აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ უმთავრესს მათგანს.

**კორტოხი.** სოხუმის ოლქი, გურია, სამეგრელო, ბათუმის ოლქი და ზაქათალა მის ახლო მდებარე ადგილებით ირგვლივ შემოფარგლულია კავკასიის, სვანეთის და აჭარა-გურიის მთებით. ზემო აღნიშნული ადგილები ვულკანიურია. როგორც ვულკანისაგან წამონაშობი ეს ადგილები სავსეა პატარ-პატარა გორაკებით, რომლის წვერებზედაც ხშირად შეგხვდებათ სწორე ადგილები. აი, ამ ადგილებს ეძახიან დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი კორტოხს. ეს ადგილები გაშლილია ზემოაღნიშნული მთების კალთებზედ და ჩადის ზღვის პირამდის. (გარდა ზაქათალის კორტოხებისა.)

გორაკის წვეროები ანუ როგორც ჩვენ ვეძახით,—კორტოხი, ყოველ მხრიდან გაშლილია. როგორც ასეთს, მას ყოველ მხრიდან ქარი ხვდება, ხოლო ქარიან ადგილებზე კი ნარინჯოვან ხეხილის ბაღების გამრავლება ყოველად შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ მათ ზემოდან დაჰყურებს კავკასიონის, აჭარა-გურიის და სვანეთის მთების მწვერვალები, რომლებიც დაბურულია თოვლით შუა გაზაფხულზე.



გაზაფხულზე ყვავილის გამოღების დროს ბალს ცოტა სიცივეც კი დიდს ვნებას აძლევს, რადგანაც ყვავილი მეტად ნაზია. ამიტომ მთის წვეროების სიცივე ადვილად აფუჭებს ნაზს და ნორჩს ყვავილს. ასეთ ადგილებზედ ხეხილი თუ გაშენდა იშვიათად მოიხსამს.

შავი ზღვის პირად მცხოვრებნი ხშირად სახლდებიან ასეთ კორტოხებზედ და აშენებენ ბაღებს. თუ ასეთი აუცილებლობაა, უმამულობისა გამო, შეიძლება გაშენდეს ნარინჯოვანი ბაღი, მხოლოდ აუცილებელი საჭიროა, რომ ბალს გაუკეთდეს საფარი. საფარად რვავენ მალალ ხეებს სამოთხ რიგად იმ მხარეზედ, საიდანაც ქარი უბერავს და ან ჩრდილოეთით, რომ დაჭვაროს მცენარეები მთის ცივი სუსხისაგან.

მთის წვერებზე ანუ კორტოხებზე ნიადაგი ყოველთვის ხშირი წვიმებისაგან ირეცხება და ფიტდება. ამის გარდა ნიადაგს ხშირი ქარის გამო სინესტე ადვილად ეცვლება. თუ ყველა ზემოაღნიშნულს ვიქონიებთ მხედველობაში, დავრწმუნდებით, რომ ასეთ ადგილზე ხეხილის ბალის გამრავლება-გაშენება სარგებლობას არ მოგვიტანს.

ნარინჯოვანი ხეხილის გამრავლება შეიძლება მხოლოდ შავი ზღვის აღმოსავლეთის მხრით მდებარე ადგილებზე, რომლებსაც არა ხვდებათ, არც თოვლით დაფენილი მთის ქარი და თბილი და ნესტიანი ჰავაც ხელს უწყობს.

**სწორე მინდორი.** სწორე მინდორი ბალის გასაშენებლად არ არის ცუდი თუ კი მასში არ არის ჭაობიანი და ნესტ-ქარბი ადგილები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვაქვს გავაშროთ ნიადაგი საწრეტი არხებით. საწრეტი არხების გაყვანა იმიტომაა საჭირო, რომ ჭაობიან და ნესტ-ქარბ ადგილებზე ზამთარი ადვილად მოქმედობს. ნიადაგის ქვეშ მდებარე წყალი ასეთ ადგილებში იყინება და აფუჭებს ბალს. საწრეტი არხების საშუალებით ამ ნიადაგის ნაკლს ჩვენ თავიდან ვიცლით. რაც შეეხება ნიადაგის სინაყვიერეს ასეთ სწორე ადგილებში ყოველთვის უზრუნველ ყოფილია. ასეთ ადგილებზე ბალის გაშენება სასურველი და სასარგებლოა. რადგანაც უმეტესი ნაწილი სწორე ადგილებისა მანძილით დიდი და ფართოთ გაშლილია, ამისთანა ადგილებზე ქარი მუდამ მძვინვარებს. ბალის ქარისაგან დასაფარავად, როგორც ზემოთ ვსთქვით საჭიროა გაშენდეს საფარი ე. ი. ჩაიყაროს რამდენიმე რიგად ხეები. ამ მიზნისათვის საუკეთესო ხეები არიან კუპაროსი და კრიპტომერია.

**ქაღები.** ქალა ხშირად წყლის პირას არის გაშლილი, რის გამოც მდიდარია ლამით და სინოყვირით. მაშასადამე ნიადაგის მხრით იგი საუკეთესო ადგილია ნარინჯოვანი ბალის გასაშენებლად. ამისთანა ადგილების ნაკლი, — ქარი, ნესტ-ქარბობა და მდინარის სიახლოვეა, რომელსაც გაზაფხულის წყალდიდობის დროს ადვილად შეუძლიან წალეკოს ბაღი. ამ ნაკულევიანობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა მხოლოდ ენერგია. საჭიროა ქარისათვის საფარის გაკეთება და საწრეტი არხის გაყვანა, ხოლო რაც შეეხება მდინარისაგან ბალის დაცვას უნდა იყოს გაკეთებული ან დამბა და ან ჩაიაროს რამოდენიმე რიგად ძეწენის ხეები.



**ტყის ველები.** ხშირად ტყის შუა გულში გვხვდება პატარა შინდერები. ამ შინდერებს ეძახიან ტყის ველებს. ასეთი ტყის ველები სასურველია ნარინჯოვან ბალის გასაშენებლად მეტადრე თუ იგი მდებარეობს მაღალ და მშრალ ალაგას. მათ გარს აქვთ შემორტყმული ბუნებრივი საფარები ქარისაგან და ნიადაგის სინოციერით პირველი ადგილი უჭირავთ ზემო ჩამოთვლილ ნიადაგებს შორის.

შეიძლება სურვილისამებრ გაიჩეხოს ტყე და გაშენდეს ბალი, მაგრამ ასეთი ოპერაციისათვის საჭიროა დიდი შრომა და ხარჯი, გარდა იმისა რომ ახლად გატეხილი ტყის ნიადაგი გამოფიტულია, სინოციერე და ძალა არა აქვს და მის შემუშავება-განოციერებას უნდა დრო და დიდი ენერჯია. საზოგადოთ ნაცადია, რომ რაც ტყე დიდი ხნისაა, იმდენად ნიადაგი უნოციერო და მაგარია.

ამ ნაკლს მოცილებულია ტყის ველები, თუმცა ეს ველებიც ბალისათვის კარგად და ჯეროვანად უნდა იყოს შემუშავებული. საზოგადოთ კი უნდა ვსთქვათ, რომ სწორე და დაბალი ადგილები უფრო ნოციერია და ფხვიერია და ამიტომ ამისთანა ალაგებს უჭირავთ უპირველესი ადგილი სხვებთან შედარებით.

**ხევის ველი ანუ „ღარდო“.** წინათ ჩვენა ვსთქვით, რომ შავი ზღვის მახლობლად მდებარე ადგილები წარმოშობილია ვულკანისაგან და საესეა პატარა-პატარა გორაკებით. ხშირად გორაკებ შუა ჩამოჩანჩქარებს პატარა-მდინარე ან წყაროების ნაკადული. აი ამისთანა ადგილებს ეძახიან ქართლში „ხეც“. ამისთანა ხეცების შორის ხშირად იპოვნით ვიწრო და ლამაზს ველს. ამ ველებს გურობა სამეგრელოში ეძახიან „ღარდოს“. თუ ეს ხევის ველი ანუ ღარდო ძლიერ ღრმა ხეცში არა დევს, და ცოტათ თუ ბევრად სწორე ადგილია, ასეთი ველი საუკეთესო ბალის ალაგად ითვლება. იგი ბუნებრივ დაფარულია ქარისაგან, ნიადაგიც და ჰავაც ნაზი და შესაფერია. ასეთ ადგილებში ხშირად ამრავლებენ უფრო ნაზი ჯიშის მცენარეებს ვიდრე ნარინჯოვანს მაგალ. ფორთოხალს და ლიმონს.

ზემოთ ჩვენ გავარჩიეთ კერძოთ რომელი მიწის მდებარეობა უფრო ხელსაყრელი არის ნარინჯოვან ხეხილის გასაშენებლად. ცალკ-ცალკე აღვნიშნეთ, რომელი მიწის მდებარეობა, როგორი და რა თვისებისაა. ეხლა აღვნიშნათ საზოგადოთ როგორი მიწის მდებარეობაა საჭირო ნარინჯოვან ხეხილისათვის.

ნარინჯოვან ხეხილის ბალისათვის საჭიროა მყუდრო ადგილი, დაცული როგორც ქარისაგან, აგრეთვე დილის მზის სხივებისაგან. მხოლოდ უნდა ვერიდოთ ხეხილის დარგვას ჯურღმულებში, სადაც მზე არა სწვდება რამდენიმე საათით მიანც. არ შეიძლება მისი გაშენება აგრეთვე იმისთანა ალაგას, სადაც ცივი ჰაერია დაგუბებული, რადგანაც ასეთ ადგილებში სინესტე იცის.

საუკეთესო ადგილი ნარინჯოვანი ხეხილისათვის არის ხევი, რომელიც სამი მხრიდან შემოფარგლულია გორაკებით და სამხრეთით კი დასცქერის მზე. თუ ადგილი გაშლილია საჭიროა გაუკეთდეს ხელოვნური საფარი ხეებიდან მაგ. კუპაროსისა და კრიბტომერისა. ასეთი საფარი იფარავს ხეხილს არამც თუ ქარისაგან აგრეთვე მზის მწვავე სიციხისაგან. თუმცა ნარინჯოვან ხეხილს უყვარს მზე და ჰაერი, მაგრამ დილის მზის სხივები დიდ ვნებას აძლევს ხეხილს,



მეტადრე ზამთრის ყინვის დროს. ფორთოხალს ისე არა ვნებს ღამის ყინვა, როგორც აღრიანი მზის სხივები ყინვიანი ღამის შემდეგ. თუ ყინვიანი ღამის შემდეგ ხეს ერთბაშად მზე მიადგა, ხე ვერ ასწრობს ნელ-ნელა გაღვობას, კანში გაყინული ღამის ცვარი ხელათ დნება.

ნაზი ხის კანი სკდება და ხე ფუჭდება ან იყინება. ასეთი მოვლენა ხდება თითქმის პატარა ყინვის დროსაც კი. ამიტომ საჭიროა ნარინჯოვანი ბალი დაიფაროს არა მარტო სამხრეთით და ჩრდილოეთით, აგრეთვე აღმოსავლეთითაც კი. თუ ბალი დიდია, მაშინ რამოდენიმე რიგის შემდეგ რვავენ შიგ ბალში ერთ-ორ რიგზედ საფარ ხეებს. ასე იქცევიან ევროპაში და იმ ქვეყნებში, სადაც ამრავლებენ ციტროვან ხეხილს და ტროპიკულ მცენარეებს.

**ფერდოს მიმართულება.** ბალისათვის საჭირო ადგილი სუყოველთვის არ წარმოადგენს სრულიად სწორე ადგილს, იგი დაქანებულია ამა თუ იმ მარეს. დაქანებული ფერდო იზომება გრადუსით. ასეთი დაქანებული ადგილი უფრო ადვილად თბება, რადგანაც მზე თავის დროზედ დაჰყურებს, მის უპირატესობა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ წვიმისა და ნიაღვრის წყლები არა გუბდება და დასანუშავებლადაც ადვილია. მეტის-მეტად დაქანებული ფერდობი ბალისათვის სასურველი არ არის, რადგანაც ამისთანა ფერდოს ნიადაგი ფიტდება და ირეცხება ხშირი წვიმებისაგან და სინესტეც არა რჩება მასში, სჭირდება მუდამ მორწყვა, რაც მეტს შრომას მოითხოვს და დასანუშავებლადაც მეტად ძნელია. ერთი სიტყვით ასეთი ადგილის დამუშავება ზედ მეტს ხარჯს მოითხოვს. საბალეთ სჯობიან ავირჩიოთ ისეთი ფერდო, რომელიც დაქანებულია ოდნავ, რომელიმე მხარეს, ან და სრულიად სწორე ადგილი. ცოტათ დაქანებული ფერდო მოსარწყავად ადვილია და საფარიც ადვილად კეთდება. ფერდოების მიმართულება სხვა და სხვანაირია. ჩვენ ავწერთ მხოლოდ ფერდოების უმთავრეს მიმართულებას.

**ჩრდილოეთისაკენ დაქანებული ფერდო.** რადგანაც ასეთ ფერდოს მზე პირდაპირ დაჰყურებს და ცოტა ხნობით ათბობს, ასეთი ფერდოს ნიადაგი მუდამ ცივი და ნესტიანია. ამისთანა ფერდობებზედ გაშენებული ბალი ადვილად იყინება და ყვავილიც გაზაფხულზედ მეტათა ზიანდება.

**აღმოსავლეთისაკენ დაქანებული ფერდო.** აღმოსავლეთისაკენ დაქანებული ფერდო ყოველთვის ჩრდილი და ნესტიანია, თუმცა ისე კი არა, როგორც ჩრდილოეთისა. ასეთი ფერდო ძალიან ცუდს ადგილს წარმოადგენს ბალისათვის რადგანაც ზამთრის სიცივისაგან გაყინულ ხის ტანს დილაადრიან ადგება მზის სხივები, კანი ვერ ასწრობს ნელ-ნელა გაღვობას სკდება და დიდ ზიანს აყენებს მცენარეს. ამის გარდა აღმოსავლეთის მშრალი ქარი ძალიან აზიანებს და აფუჭებს როგორც დედათა, აგრეთვე მამათა სქესის ყვავილებს. ამ ქარის წინააღმდეგ არავითარი სახსარი არა გვაქვს, გარდა ხელოვნური საფარისა. ხელოვნური საფარი ასეთ ფერდოსათვის საჭიროა, როგორც აღმოსავლეთით, აგრეთვე ჩრდილოეთითაც. რამდენათაც საფარი ხშირი და სქელია იმდენათ მცენარისთვის სასარგებლოა.



**სამხრეთისაკენ დაქანებული ფერდო.** სამხრეთისაკენ დაქანებული ფერდოს ნიადაგი მშრალია და ჰავაც თბილი აქვს და სალი. ამისთანა ფერდობზედ მცენარე ადრე გაზაფხულზედ იშლება და ადრეც ყვავილდება. ერთი სიტყვით მცენარის მაკვებარი წვეწვების მოძრაობა ადრე იწყობა. გაზაფხულზედ თუ ყინვამ დაჰკრა და დაეცა რთვილი ფუჭდება, როგორც მცენარის ყვავილი, აგრეთვე ნორჩი ფოთოლიც, — სწავს ხის ტანს და ხეს ადვილად უჩნდება კუს ავადმყოფობა. აი ეს არის ნაკლებლოვანება ამისთანა ფერდობისა. ამიტომ, თუ ასეთს ფერდობზედ გვაქვს გაშენებული ბაღი, ბევრი შრომა გვინდა, რომ ხეხილი დავიფაროთ ზემოაღნიშნულ მოვლენისაგან. რომ ხის კანი არ დასკდეს და ადვილად აიტანოს ყინვები, ხის ტანს ღებავენ კირით ან არა და გარშემოახვევენ ჩალას, რომ სიცივემ შიგ არ შეატანოს. გაზაფხულის დილის ყინვიდან ხეხილის დასაცველად, იმ დღეს როცა მოელაინ რთვილს დილით ადრე ე. ი. 4 საათზედ ბაღებში ახრჩოლებენ ბოლს (ამაზედ დაწვრილებითი ლაპარაკი შემდეგში გვექნება.) მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთისაკენ დაქანებულ ფერდოს ასეთი დიდი ნაკლი აქვს, უმეტეს ნაწილად ასეთ ადგილებს ირჩევენ ბაღის გასაშენებლად, რადგანაც ამისთანა ალაგზედ ნაყოფი ადრე მწიფდება, ინტენსიურათაც იღებება და ნაყოფიც კარგი გემოსი იცის. ასეთ ფერდობზედ გაშენებული ბაღი, თხოულობს ნიადაგის ღრმად შემუშავებას და ხშირად მორწყვას, რადგანაც ასეთ ფერდობზედ საშუალო სითბომ 3 ნახ. მეტია, ვიდრე ჩრდილოეთის ფერდობზედ. საფარი აქაც საჭიროა, თუ რომელიმე მხრიდან უბერავს ქაოი.

**დასავლეთისაკენ დაქანებული ფერდო.** დასავლეთისაკენ დაქანებული ფერდო ბალისათვის საუკეთესო ადგილათ ითვლება, რადგანაც ამისთანა ადგილებს ზომიერი სინესტე აქვთ და ჰავაც რბილი და ზომიერად თბილი. აგრეთვე ბუნებრივად დაფარულია აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მშრალი და ცივი ქარისაგან. ასეთ ფერდობის უმთავრესი ღირსება იმაშია, რომ ის იფარავს გაზაფხულის ყინვისაგან, როგორც ხის ტანს, აგრეთვე ყვავილებსაც. რომ ნამდვილად უზრუნველი ვყოთ ბაღი, ამიტომ მეტი არ იქნებოდა გაგვეკეთებინა ხელოვნური საფარი აღმოსავლეთ-სამხრეთით.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ მთავარი ფერდობების მიმართულებები და თვისებანი. ფერდობი იღებს იმ მხრის სახელს საითაც იგი არის მიმართული. ზემო აღნიშნულ უმთავრეს მიმართულებების გარდა არის კიდევ სხვა მიმართულებები მაგ. სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი და სხვ., რომლებსაც აქვს ყველა ის ღირსება და ნაკლი, როგორც უმთავრეს ფერდობებს.

როგორც ზემოთა ვსთქვით ფერდოს სიმაღლე იზომება გრადუსებით. ამის მიხედვით იგი იყოფა სამ ზარისხად: პატარად, საშუალოდ და დიდ ფერდოთ.

**პატარა ფერდო.** პატარა ფერდო დაქანებულია 5-10° ასეთი დაქანებული ადგილი ადვილად იცილებს მეტს ნესტს, ნიადაგი ადვილი შესამუშავებელია, ნიადაგი არა რეცხავს და აფიტებს მის სინოცივრეს და ამიტომ ასეთი ფერდო საუკეთესო საბაღეთ ითვლება.



**საშუალო ფერდო.** შუათანა ფერდო არის 10-20°, დაქანებული და ხელსაყრელია ხეხილის ბალის გასაშენებლად. მხოლოდ აქ ყოველთვის სიფრთხილესაჭიროა, რომ ნიაღვარმა არ ჩაოცხოს იგი, მით უმეტეს თუ ნიადაგი ფხვიერია. საზოგადოთ კი ასეთი ფერდობები ითვლება ბალისათვის სასურველ ადგილად.

**დიდი ფერდო.** დიდი ფერდო არის დაქანებული ამა თუ იმ მხარეს 20-30°; ასეთი ფერდო არ არის ხელსაყრელი ბალის გასაშენებლად მეტადრე თუ ერთი, ან, მთლიან ბალს გავაშენებთ. ხოლო თუ ზოგან გავაშენებთ ხეხილს და ზოგან დაეტოვებთ შეუმუშავებელს, მაშინ ეს ფერდო არ წარმოადგენს არა სასურველ ადგილს. ასეთ ფერდობზედ ხეები უნდა დავრგოთ ისე, როგორც მოვიხსენებთ შემოდ. ასეთი წესით დარგვა იმიტომ არის შემოღებული, რომ შემოდან წამოსული ნიაღვარი თანაბრად განაწილდეს მთელს ბალში ე. ი. ერთნაირად გაუჟღდეს ძირში ყველა ხეს და არ ანაკადულდეს. ასეთ ნაირად დარგული ხეები წვიმის დროს ბლომად ირწყვება, სინესტეს დიდხანს ინახავს და გვალვისაგან უზრუნველ ყოფილია.

მ. ქარცივაძე.





## შ ა ტ ა რ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი

### ჯანმრთელობისათვის ზრუნვა.

ცოდნა აღიარებული სჯობია — ჩვენი ხალხი, ფართო მასა ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია სისუფთავეს, ბევრი ჩვენი სოფლები, განსაკუთრებით ქართლ-კახეთში ჰიგიენის მხრივ ისევ პრიმიტიულ მდგომარეობაშია; დღეს ყველასათვის ცხადია, რომ უსუფთაობა ბუდნა ყოველგვარი სნეულებისა. მაგრამ ავადმყოფის მოვლა მაინც ვიცოდეთ კარგი: სიკვდილის პირზე რომ მიდგება ავადმყოფი მაშინ მოიყვანენ ექიმს და მომაკვდავს ასხამენ წამალს პირში, მაგრამ რაღას უშველის. თუმცა უწინ, ძნელი მოსახერხებელიც იყო ჩვენი გლეხისთვის შესაფერისი მზრუნველობა გამოეჩინა თავის ავადმყოფობისთვის, რადგანაც ექიმი სოფლად სანთლით საქებარი იყო, ქსენონ-საავადმყოფეები კი ზოგიერთ ქალაქებშიც არ იყო გაწყობილი, თორემ დაბა-სოფლებს ვინ დაეძებდა; ისინი ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული, ხალხი მკითხავ-მარჩიელებით და სხვა ექიმბაშობით კმაყოფილდებოდა. დღეს მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენი თავი ჩვენვე დავიბრუნეთ, ხალხის ბედს განაგებს ხალხოსნური მთავრობა, რომელმაც იმ თავითვე დიდი ყურადღება მიაქცია ხალხის ჯანმრთელობის საქმესაც. ამ მიზნით დაარსდა ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომელსაც დაევალო ხალხის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა. დამფუძნებელმა კრებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო კიდევ დეკრეტი სამხედრო საავადმყოფოების ქალაქისა და ერობის თვითმმართველობათათვის გადაცემისა; ამ დეკრეტის თანახმად რესპუბლიკაში არსებული სამხედრო უწყების ყველა საავადმყოფოები მთელი ინვენტარით გადაეცემა სათანადო ერობებს და ქალაქის თვითმმართველობებს, ხოლო ზემოხსენებულ საავადმყოფოებში სამხედრო უწყებას დაეთმობა ათას ორასი (1.200) საწოლი, შემდეგი განაწილებით:



1. ტფილისში—ოთხასი (400) საწოლი
2. ქუთაისში—სამასი (300) „
3. სოხუმში—ოთხმოცი (80) „
4. სურამში—ოთხმოცი (80) „
5. ფოთში —სამოცი (60) „
6. ოზურგეთში—ოცდაათი(30) „
7. ახალციხეში—სამოცდა ათი (70) „
8. ახალქალაქში—სამოცდა ათი (70) „
9. დუშეთში — ოცი (20) „
10. თელავში — ორმოცი (40) „
11. ბათუმში — ორმოცდა ათი(50) „

მაგრამ სამხედრო უწყების ავადმყოფების შესანახი ხარჯი ერობებს და თვითმართველობებს კი არ დაეკისრა, არამედ ამ მიზნით გადაღებულ იქნა სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში თითო ავადმყოფისათვის დღეში ორას.ათი (210) მანეთი, ხოლო ყოველწლიურად ოთხმოცდა თერთმეტი მილიონი ცხრაას ოთხმოცი ათასი (91.980.000) მ. ამგვარად საავადმყოფოების მოვლა—პატრონობა დაეკისრა ერობებს და თვითმართველობებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, როგორც პირველი ისე მეორე კეთილად მოაგვარებს, ხალხისათვის ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

### სავაო ნატურალი ბეგარა.

ჩვენი სოფლების დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე შარა გზების უვარგისობა. განსაკუთრებით ზემო იმერეთში არის ისეთი სოფლები, სადაც წვიმის შემდეგ ურმით ან ცხენით მოგზაურობა ყოველად შეუძლებელია. აბა, ვის არ უნახავს იმერეთის შარა გზებზე ლაფში ჩაფლული ურემი. არის ჩვენში ისეთი გზებიც, რომელზედაც ღამით საშიშიც არის სიარული, ისეთი ხრამები და ოღრო-ჩოღროებია. ზედმე-



ტად მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკი თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისთვის გზებს როგორც კულტურის ისე ეკონომიურის მხრივ. ძველი მთავრობაც აქცევდა გზების შეკეთებას ყურადღებას, მაგრამ გზების შეკეთება იმ დროს სავალდებულო იყო მხოლოდ გლეხებისათვის, სხვა წოდება ვისი შეკეთებაში მონიწილეობას არ ღებულობდა; დამფუძნებელმა კრებამ კი დაადგინა ეგრედ წოდებული საგზაო ნატურალური ბეგარა, რომლის თანახმად ყველა მამაკაცი 18 წლის ზევით გაწვეულ იქნება ყოველწლიურად საერობო გზებზე საგზაო ბეგრის მოსახდენად; მაგრამ ერობის სახელაძღვანელოდ და საყურადღებოდ უკეთესია მოვიყვანოთ ცოტა შემოკლებით თვითონ ტექსტი დეკრეტისა საგზაო ნატურალი ბეგრის შესახებ:

სახაზინო და საერობო გზატკეცილებისა და შარა გზების შესაკეთებლად და ახლების გასაყვანად არსდება საგზაო ნატურალი ბეგარა.

თემის ყოველი შრომის უნარიანი მამაკაცი 18 წლის ზევით გაწვეულ იქნება ყოველწლიურად თემის ფარგალში სახაზინო და საერობო გზებზე საგზაო ბეგრის მოსახდელად; ყოველი ოჯახი ვალდებულია აგრეთვე ბეგარაზე გამოიყვანოს თავისი ურემი და მუშა-საქონელი, რამდენიც მოეზვება.

საგზაო ბეგარაზე გაწვევა, როგორც მუშა ხელის ისე ურემ-საქონლისა შეიძლება ყოველწლიურად არა უმეტეს 7 დღისა. აღნიშნული 7 დღის ზევით მცხოვრებლების და ურემ-საქონლის ბეგარაზე გამოყვანა შეიძლება თემის დადგენილებით და სამაზრო ერობის დასტურით, ხოლო არა უმეტეს 7 დღისა.

თემებს შორის სამუშაოს განაწილების დროს კომიტეტში მიწვეულ უნდა იქნეს აგრეთვე გადამწყვეტი ხმით იმ სამაზრო ერობის წარმომადგენელი, რომელსაც ეკუთვნის თემი.

საბეგრო კომიტეტი ყოველწლიურად განსაზღვრავს თვითველ თემისათვის აუცილებლად შესასრულებელ სამუშაოს.

თემის მცხოვრებთათვის საგზაო ნატურალი ბეგრის შეცვლა შეიძლება საპატიო მიზეზის გამო თემის დადგენილებით სამუშაო ხელფასის ურემებისა და მუშა-საქონლის ადგილობრივი საშუალო ქირის გადახდით



თვითეული თემისათვის სამუშაო დღეების რიცხვის მიხედვით. აღნიშნული ფულის აკრეფა ევალემა სამაზრო ერობას.

თუ ბეგრის მომხდელ პირს არა ჰყავს ურემ-საქონელი და მხოლოდ თავისი ფიზიკური შრომით უნდა მიიღოს მონაწილეობა ბეგრის მოხდაში, ბეგრის ნაცვლად საპატიო მიზეზის გამო, თემის დადგენილებით ვალდებულია სამუშაო ხელფასი გადაიხადოს სამუშაო დღეების რიცხვის მიხედვით.

სამუშაო ხელფასისა და გასაყვანი ურემ-საქონლის საშუალო ფასს განსაზღვრავს სამაზრო ერობა.

გამოცხადების ვადა, მუშაობის ადგილი და სხვა პირობები საგზაო ნატურალი ბეგრის მოხდისა სახაზინო გზა-ტკეცილების შარა გზებზე ინიშნება საბეგრო კომიტეტის მიერ.

საერობო გზა ტკეცილებზე და შარა გზებზე საგზაო ნატურალი ბეგრის მოსახდელად გამოცხადების ვადას, მუშაობის ადგილსა და სხვა პირობებს განსაზღვრავს ადგილობრივი სამაზრო ერობის გამგეობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სტიქიური მოვლენის მიზეზით გაფუჭებული სახელმწიფო თუ საერობო გზა თხოულობს სასწრაფო შეკეთებას, ეს შეკეთება ხდება ადგილობრივ თემის გამგეობის განკარგულებით იმ პირობით, რომ ამ შემთხვევაში გაწვეულ ხალხს ნამუშევარი ჩაეთვალოს საერთო ბეგარაში.

საგზაო გადასახადისაგან მიღებული თანხა ჩაირიცხება მთავრობის განკარგულებისათვის საგზაო ფონდში და მოხმარდება მხოლოდ გზა-ტკეცილების და შარა გზების შეკეთებას.

შენიშვნა: ამ თანხიდან მთავრობის დადგენილებით სამაზრო ერობებს და ქალაქებს მიეცემათ განსაზღვრული დახმარება პროპორციონალად მათ განკარგულებაში დარჩენილი გზატკეცილებისა და შარა გზებისა.

ვინც საგზაო ნატურალ ბეგარას არ მოიხდის, ან იმის ნაცვლად ამ დეკრეტით დაწესებულ საფასურს არ შეიტანს ფულად, დაისჯება საპრობილეში დაპატიმრებით სამ თვემდე, და გარდა ამისა გადახდება ორკეცი ფასი სამუშაოსი და გასაყვანი ურემ-საქონლისა.



დეკრეტში მოყვანილია აგრეთვე იმ ქალაქების სია, რომლის მცხოვრებნი, საგზაო ნატურალ ბეგრის მეგირ იხდიან საგზაო გადასახადს, რომელიც უდრის შემოსავლის კვალობითი გადასახადის ერთს მეოთხედს; როგორც ზევითაც არის მოხსენებული ეს თანხა ჩაირიცხება საგზაო ფონდში.

მოყვანილ დეკრეტს მაშინ ექნება ფასი, როცა მას ჩვენი ერობები და თემები განახორციელებენ.

### ეგრედ წოდებული კომუნისტები.

ჩვენი კომუნისტები არ ცხრებიან. მიუხედავად საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებისა ისინი მაინც განაგრძობენ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ქურდულ მუშაობას. დღესაც ბევრგან დაწინააღმდეგენ ფულით ბოლშევიკების აგენტები და ეწვეიან სოფლად მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას, ამის აუარებელი საბუთები აქვს ჩვენს მთავრობას. არც ერთ შემთხვევას არ უშვებენ ბოლშევიკები, რომ როგორმე ჩირქი მოსცხონ ჩვენ რესპუბლიკას; ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის კამათი, რომელსაც ადგილი აქვს შერეულ კომისიის სხდომებზე სამხედრო გარანტიების შესახებ. კომისიაში მონაწილე რუს-წარმომადგენლები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ჩვენ ომი არ გვქონია გენ. დენიკინთან. ამას გაუწითლებლათ ამბობენ მაშინ, როდესაც თვითონ ბოლშევიკების არქივშიაც კი საკმაოდ მოიპოვება იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ საქართველო თითქმის ერთი წლის განმავლობაში საომარ განწყობილებაში იყო მეფის გენ. დენიკინთან. რასაკვირველია, ჩვენთვის იმდენად საყურადღებო არ არის ის ნადავლი, რომელზედაც ლაპარაკი აქვს ამ ჟამად კომისიას. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკებს სურთ



ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებას ჩირქი მოსცხონ და დაანახონ მტერ-მოყვარეთ, რომ საქართველო არამც თუ ებრძოდა რე-აკციონურ გენერლებს, არამედ მათთან მეგობრულ განწყობილებაშიაც კი იყო, ასეთია ერთი ნიმუში კომუნისტების ჩვენში უკანასკნელ მოღვაწეობისა.

ჩვენი რესპუბლიკის ადმინისტრაციულ აპარატის სიმძიმეც ერობებს აწევს. ამიტომ ახალ ლეგალურ ბოლშევიკების მოღვაწეობის წინააღმდეგ მოქმედება არ უნდა შეასუსტონ; პირიქით გაორკეცებული ზომები უნდა მიიღონ როგორც სამაზრო ერობებმა, ისე თემებმა, რომ ამ ვაჟბატონებმა სოფელებში მალულად არ გაიქაჭანონ. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ კომუნისტების გახეთის მეოთხე გვერდი საესეა ხოლმე სხვა და სხვა თემებიდან მისაღმებებით. ხშირათ ერთი ან ორი პირი მთელი რომელიმე თემის სახელით ესაღმება კომუნისტებს და უცხადებს მათ თანაგრძნობას. ამ მოვლენასაც უნდა შეებრძოლონ საერობო თემები.

### მასწავლების მოსამზადებლად.

ჩვენი რესპუბლიკის ბედი დამოკიდებულია ხალხის გათვითცნობიერებაზე, სწავლა-განათლებაზე; თუ თვითეული მოქალაქე, იმდენათ არ არის მაინც განვითარებული, რომ მას სავსებით არ ესმის თავის მოქალაქობრივი უფლებები, ნათლად არა აქვს წარმოდგენილი თუ რას ავალღებს მას სახელმწიფო, ან მან რა უნდა მოსთხოვოს სახელმწიფოს, მაშინ ლაპარაკიც შეუძლებელია ისეთ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაზე, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფო ეწოდება. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში სწავლა-განათლების ლაპარს მრავალი მტერი ჰყავდა, ერთმანეთს ეჯიბრებოდენ მის ჩასაქრობად, ჩვენმა ხალხმა მაშინაც კი შესძლო ჯეროვანი ყურადღება მიექცია სწავლა-განათლებისათვის, მაგრამ ახლა არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი გაკეთებული იყოს და აღარ სჭირდებოდეს ამ საგნისათვის ჩვენს ერობას ზრუნვა; პირიქით ერობებმა თავის მოღვაწეობის პირველ მიზნად სოფლად კულტურული მუშაობა, სწავლა-განათლება უნდა დაისახონ. ამ მხრივ ჩვენ ერობებზე არც გვეთქმის საყვედური: ერობების არსებობის დროს ერთი-ორად ვაიზარდა სკოლების რიცხვი, მაგრამ სასურველად მაინც ვერაა დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე საერობა სკოლებში. უმთავრესი ამის მიზეზი ის



არის, რომ არ გვყავს მასწავლებელთა საჭირო კადრი, რაც გვყავს ისინიც ვერ არიან ყველანი ჯეროვანად მომზადებულნი;—რათ გვინდა სკოლა, რომ ვახსნათ, მასწავლებლები არ გვეშოვებოდნენ შემომჩივლა ერთმა სამაზრო ერობის თავმჯდომარემ, და მართლაც უმასწავლებლო სკოლა რა წარმოსადგენია. ამ ნაკლს ერობებმა მიაქციეს ყურადღება: ბევრგან განიზრახეს ამ ზაფხულზე სამოსწავლო კურსების გახსნა, მაგრამ მაინც ვერ მოაწყვეს; ან რა ცოდნა უნდა შეიძინოს მასწავლებელმა ორ-სამ სიცხიან თვეში. სპეციალური სამოსწავლო სემინარიის დაარსებაც ძნელი მოსახერხებელია; ამ ნაკლის რაოდენიმეთ მაინც გამოსასწორებლად ჩვენ უნდა მიუთითოთ ერობებს საპედაგოგიო ინსტიტუტზე, რომელიც შარშან დაარსდა ტფილისში, მაგრამ სამწუხაროდ 20 25 მსმენელის მეტი არ ჰყოლია ინსტიტუტს. ხსენებულ სასწავლებელზე სახაზინო ფული საკმაოდ იხარჯება, ლექტორებიც პედაგოგიური ცოდნით შესაფერისად არიან აღჭურვილნი, მაგრამ თუ მსმენელთა რიცხვი წელს მაინც არ გაიზარდა, ინსტიტუტის არსებობა უაზრობა იქნებოდა. ძალიან სასურველია ერობები გამოგზავნიდნენ ინსტიტუტში ისეთ პირებს, რომელთაც სურთ იმასწავლებლონ. სასურველია გამოგზავნონ თავის ხარჯით, რადგანაც ლუკმა პურისათვის ზრუნვა და ინსტიტუტში მეცადინობაც გაუჭირდებათ მსმენელებს. მართალია ჩვენი ერობების ბიუჯეტი ღარიბია, მაგრამ ხსენებული მიზნისათვის ერობებმა უკანასკნელი საშუალებაც არ უნდა დაზოგონ.

გ. ს.—ქედელი.





## თემის მნიშვნელობა და მისი მდგომარეობა.

თემი არის საფეხური სახელმწიფოსი, იგი არის საძირკველი, რომელზედაც სახელმწიფოა დაყრდნობილი და თუ ეს საძირკველი მაგარი არ არის, მაშინ არც სახელმწიფოა მაგარი. თემი უფრო ახლოს სდგას ხალხთან, ვიდრე სამაზრო ერობა. თუ თემი აღჭურვილი არაა უფლებრივით სახელმწიფოს მიერ, იგი ვერ დააკმაყოფილებს ხალხს; ხალხი თემს სთვლის პირდაპირ მთავრობად. თუ თემს არა აქვს საკუთარი ბიუჯეტი, საკუთარი შემოსავალი, ყოვლად შეუძლებელია თემმა მიიღოს თავის ნამდვილი სახე. დღეს სამაზრო ერობა მოქმედობს მაზრის შუა ცენტრში, ის უფრო დამორებულია ხალხს. თემი დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველაზედ საჭირო დაწესებულებაა და ყველაზედ ნაკლები ყურადღება კი თემს აქვს მიქცეული. მე როგორც ვსთქვი, ხალხი ერობის სათემო გამგეობას სთვლის მთავრობად. ხალხი გაჭივრების დროს მოადგება თემის გამგეობას, თუ მთავრობა ხარ დამეხმარეო. თემმა რა უნდა ჰქნას, თუ არც უფლება აქვს და ნივთიერადაც ღონიერი არ არის. სწორედ ამიტომ თემის გამგეობას დაეკარგება გავლენა ხალხში. თუ თემის გამგეობამ გავლენა დაკარგა ეს მთავრობის გავლენის დაკარგვაა. თუ თემის უფლებები არ ჩამოყალიბდა, თემის გამგეობა გადაიქცევა სამაზრო ერობის გამგეობის აღმასრულებელ ძალად და უბრალო პუნქტათ. ეს არ შეეფერება დემოკრატიულ რესპუბლიკას. დღეს მთელ ძალებს, თუ არის სადმე ცენტრში მოუყრიათ თავი, ხოლო თემის გამგეობა კი გაშვებულია ალალ ბედზედ. თითქმის ბევრ ალაგას თემის გამგეობა წააგავს სოფლის კანცელარიებს. თუ ეს ასე დარჩა დიდხანს თემის და ერობის მნიშვნელობა დაიკარგება ხალხის თვალში. სამაზრო ერობის გამგეობის უფლებრივი და მატერიალური დამოკიდებულება თემებთან გამოურკვეველია, რაც დიდს უხერხულობას ჰბადებს ყველგან.

კ. დინჯაძე.





## ორიოდე სიტყვა სოფლის აღმშენებლობასა და სანიტარიაზე.

თემის კეთილდღეობა, მისი წინმსვლელობა, გაჯანსაღება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენათ ზიაკცევს ყურადღებას და შეასრულებს თემი იმ მოვალეობას, რაც მას აქვს დაკისრებული. რომ თემის წესიერება და მისი კეთილდღეობა იმავე დროს რესპუბლიკის კეთილდღეობაა—ეს ყველასათვის ცხადია.

მრავალ მოვალეობათა შორის თემის ვალდებულებას შეადგენს ყურადღება ზიაკციოს სოფლის აღმშენებლობას, ე. ი. იმას თუ რა გეგმაზე იქნას სოფელი გაშენებული და რა ტიპის შენობა იქნეს შემოღებული სახლისთვის. ამასთან დამოკიდებულია სოფლის სანიტარია, ე. ი. ჯანმრთელობა და სისუფთავე.

ამის შესახებ ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ ინჟ. კოლუმბანსკის ზოგიერთი მოაზრებანი.

ქვიტკირის ან ავურის სახლი ისე უნდა იყოს აშენებული, რომ მისი წინა პირი ქუჩაზე გადიოდეს; რაც შეეხება საკუჭნაოებს ეს უნდა სახლის უკან მოთავადეს. სიგძე-სიგანე ამ სახლებისა უნდა იყოს თხუთმეტ-ხუთმეტი საყენი. ამის შემდეგ უნდა მიყვებოდეს კიდე 25 საყენით გაგრძელებული ბაღია.

სკოლა უნდა მოთავსებულ იქნას სოფლის შუა გულში უმთავრეს ადგილას, ამისთანავე ალაგზე უნდა იქნას საზოგადო შენობები, სამკითხველო, აფთიაქი, მილიციის ბინა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აბანოს, სადაც ხელ მისაწდომ ფასებში შეეძლება სოფლელებს კვირაში ერთხელ მაინც გაიბანონ ტანი. ამ გარემოებას უნდა მიექცეს თემის ყურადღება და არც უნდა იქნეს დაშურებული არავითარი საშუალება, რომ აბანოები მოეწყოს ანშენებლობის უკანასკნელი ფორ.

სოფელი უნდა შეეჩვიოს ხის სახლის აშენებას, ის უფრო ხელსაყრელია, ჰიგიენურია, იაფია და ჯანმთელობისთვისაც კარგია. თუმცა ჩვენში რიყის ქვა უფრო იაფი საშოვნელია, მაგრამ ამითი აშენებული სახლი ვერ დააკმაყოფილებს გლენს, რომელსაც სურს უკეთესი შენობა და ამის სახსარიც შესწევს. იქ სადაც ტყეა, უნდა შენდებოდეს სახლი ხისა.

სოფლის აღმშენებლობისათვის საჭიროა მიწის მზომელთა განსაზღვრული გეგმა, რაც უნდა შეასრულონ ერობის მიწის მზომელებმა, მათ ევალებათ დაგეგმა სოფლის ქუჩებისა და გადასახვევებისა.

საზოგადოთ სოფლის აღმშენებლობას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რადგან ამაზეა დამოკიდებული სოფლის ჯანმრთელობაც და სისუფთავეც.





## ხელოვნება და ერობა

როგორც მცენარე უმზეოდ ვერ ისულდგმულებს, ისევე ადამიანი უხელოვნებოდ.

სადაც მზე არ აშუქებს, იქ არც სიცოცხლეა. აგრედვე, ვისაც ხელოვნების სხივები არ ეფრქვევა, მკვდარია სულიერად, ჯაბანია სხეულებრივად.

ადამიანის სულის მასაზრდოებალი, დამხვეწველი და გამაკეთილშობილებელი, ამამალებელი, — ხელოვნებაა, მისი სხვა და სხვა დარგი: მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, ქანდაკობა და სხ.

ერის დამორჩილება, ხალხის სიკვდილი მხოლოდ მისი სახელოვნო წყაროს დაშრობით შეიძლება.

ვანდალებმა დაამხეს ძველი ქვეყნის ხელოვნური ძეგლნი და ერიც განიბნა.

ჩვენმა ნაბატონარმა რუსეთის თვითმპყრობელობამ, ალბად, კარგად იცოდა ხელოვნების ეგოდენი მნიშვნელობა, რომ ისეთის თანდათანობით და ველურობით ამხობდა ჩვენს ხელოვნებას, ყოველივე იმას, რაშიაც ჩვენი ეროვნული აღმამფრენი და თვითშემომქმედი სული ტრიალეზდა: ამითი უნდოდა საბოლოოდ ჩაეხშო ჩვენი თვითარსებობის უნარი.

ხოლო თუ რუსეთის ორთავიან არწივის ბრჭყალებში მაინც შევძელით სუნთქვა, რევოლიუციის ქარ-ცეცხლში ამაყად ავაფრიალეთ ჩვენი დამოუკიდებლობის დროშა, მთელი ქართველი ერი გაერთიანების გზას შეუდგა და ევროპამაც თავი დაგვიკრა, — ამაში უდიდესი წილი უდევს ჩვენს წინაპართა ხელოვნების ძეგლთ, მამა-პაპათა მშობლიურ ჰანგებს, სიტყვა-კაზმულ ხელოვან ოსტატებს, რომელნიც გრძნეული ფერადებით ჩვენში აღვივებდენ უმაღლეს გრძნობებს. უკეთილშობილეს მისწრაფებათ, თავისუფლებისა და ერის მთლიანობის იდეებს...



ვერც ერთმა თვითმპყრობელმა მეფემ, ვერც ერთმა კანონმდებელმა ვერ შესძლო, რაც თეატრმა—სახიობამ და მუსიკამ: ხელოვნების ამ დარგმა, ვისაც კი მისწვდა, გრძობა-გონება გაუფაჭიზა და არა რაისგან ჰარმონიულ ღირებულებად შექჷმნა.

ჩვენს თავზე ათასმა ქარ-ტეხილმა, აუარებელმა უბედურებამ გრგვინვით გადიქროლა, არა ერთმა და ორმა ველურმა ურდომ მოაოხრა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენი წინაპრების დანატოვარი ხელოვნების ძეგლნი მარადის გულში ღვთიურ ცეცხლს გვიღვივებდენ, გვათბობდენ, რწმენას გვიფოლადებდენ... სულმნათ შოთას მაღალ ხელოვნური ძეგლი მომხიბლავის ფერადებით ჩავვასმენდა გაერთიანებას, ერთობას, სიყვარულს, გმირობას, მაღალ სათნოება-ზნეობას, „ქაჯეთის ციხის“ დამხობის აუცილებლობასა და უექველობას... ჩვენი დროის წინასწარმეტყველი—მგოსნის აკაკის შორჭვრეტა გულში ღრმად გვინერგავდა, რომ კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი—მთელი საქართველო ტყვეობის ჯაჭვს გასწყვეტდა... ჩვენი მრავალ-ჟერადი სასულიერო და საერო გალობასიმღერები, რომლებიც სულს გვიმაღლებდენ, „ცათამდე აღყუდებულ“ მთა-გორებზე დაშენილი სახუროთმოძღვრო ნაშთები, რომელნიც ჩვენის წინაპრების ბუმბერაზობისა და თვითშემოქმედების უნარს გვიჩვენებენ, მათში დაცული ჩუქურთმა-მხატვრობანი, რომელნიც სიამაყით გვავსებენ და იღუმლივ ჩავვძახიან: ჩვენ ვყოფილვართ, ვართ და ვიქნებით, ვინაიდან „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო!“

ჩვენის ერის ცხოვრებაში ხელოვნებამ მოახდინა უდიდესი გონებრივი რევოლიუცია, საზოგადოებრივ რევოლიუციას გვაგემა, დაკარგული ადამიანობა და სამშობლო გვაპოვნინა.

ღიად, ძალა ხელოვნებისა ამდენად ძლიერია, განუზომელი.  
მერე ჩვენის წინსვლის ასეთ უდიდეს დარგს ანგარიშს უწევთ?  
თითქმის არა.

დღესაც ხელოვნების თითქმის ყოველი დარგი სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული, სასხვათაშორისოდ გამხდარი.

მართალია, ჩვენმა მთავრობამ ყურადღება მიაქცია ოპერას, თეატრს, მხატვრობას, მწერლობასაც, მაგრამ ეს წვეთია ჩვენის, ხელოვნების შხრით, ჩამორჩენილ ქვეყნის საზოგადოებრივ—ხალხურ ცხოვრებაში.



დღეს შედარებით თუ რაღაც მფარველობა, შესაწყნარებელი დარბაზი და ქურუმი მოეპოება ხელოვნებას, უმთავრესად დედა ქალაქში,— განაპირები კი მიტოვებულია, ალაღბედად დარჩენილი.

გადაავლეთ თვალი ჩვენის სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში არსებულ ეგრედწოდებულ „თეატრებს“, სახალხო სახლებს (იშვიათად თუ იყოს სადმე), სცენის მოყვარეთა წრეებს, მომღერალ-მგალობელთა გუნდებს და სხ.,—რას წარმოადგენენ?—თითქმის სრულიად არარას.

აიღეთ მწერლობა, —აქ ყოველი დარგის ნაწერებს შეხვდებით, ნამდვილ მხატვრულ-ხელოვნურ ნაწარმოებს-კი ძლიერ იშვიათად: ჩვენი ხალხი, თუ კითხულობს რასმეს, ისევ საპროკლამაციო ყაიდაზე დაწერილ წერილებს, რომელთა მნიშვნელობა წაკითხვისათანავე ჰქრება.

თვალი გადაავლეთ ხელოვნების ძველ ძეგლებს, ეკლესია-მონასტრებს და მათში მოთავსებულ ნახატებს, ანუ სხვა და სხვა დაბა-სოფელში ბუნებრივ სახელოვნო ნიმუშებს, ყოველივე ნადგურდება, თითქმის ყურადღებას არავენ აქცევს...

როცა ხალხის სკოლის-გარე განათლებაზე დაიწყება ხალხე ლაპარაკი, უპირველეს ყოვლისა არ უნდა დაივიწყონ ხელოვნება.

მერე ვისი მოვალეობაა იზრუნოს დაბა-სოფელში ხელოვნების გავრცელებისთვის?

მხოლოდ ერობისა, მისი ერთეულების —თემების.

მართალია ჩვენი ერობა ჯერ ნორჩია, მოუწყობელი; მის ერთეულებს ჯერაც კიდევ ვერ შეუგნიათ თვისი პირდაპირი დანიშნულება, ხშირად იმას ეპოტინებიან, რაც მათ არც კი უნდა ეკისრებოდეს, მაგრამ მუდამ ასე არ იქნება და რა წუთსაც ჩვენში ნამდვილი თემი, ხალხის გულიდან წარმოშობილი, შეიქმნება, ან თუ სადმე ასეთი მოიპოება, მას არ შეუძლიან თავის ამჩვეველთა—მთელი ხალხის საკეთილდღეოდ არ იზრუნოს.

ერობამ თავისი თემებით ხელოვნება სასახლიდან ქოხებში უნდა გადაიტანოს: იქ უნდა აღანთოს ლამპარი სინათლის, სიყვარულისა და გაადამიანებისა, სადაც ეს უფრო საჭიროა.

ერობას სურს თუ არა მართლმსაჯულობის განმტკიცება?—

ხელოვნება მოიხმაროს.

ერობას სურს თუ არა ხალხში ბიწიერების აღმოფხვრა?—

ხელოვნებას მიმართოს.



ერობას სურს თუ არა ხალხის სიბნელიდან გამოყვანა, დაწინაურება, ამაღლება?—

ხელოვნება გაავრცელოს.

რა უნდა გააკეთოს ერობამ?

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საქართველოს ყველა ერობის შეთანხმებით მოქმედება, გამუდმებული, შეუჩერებელი მუშაობა. საჭიროა გადიდოს საგანგებო თანხა (თუ არა აქვთ—მთავრობისგან საგანგებოდ ამ მიზნისთვის გამოითხოვონ და ყოველ წლიურად ხარჯთ-ალრიცხვაშიც შეიტანონ). გარდა ამისა უნდა შესდგეს საგანგებო კომისიები: ა) სახუროთ-მოძღვრო და ბ) სამხატვრო. პირველი იმუშავებს სახალხო სახლთა (თეატრის) გეგმას და მათს აგებას ხელმძღვანელობს, მეორე—ხელმძღვანელობს წარმოდგენა-კონცერტებს, ლექცია—საუბრებს, კითხვებს და ხელოვნების სხვა და სხვა დარგის გავრცელება-გაფუძრებას. თანამშრომლებად მოწვეულ უნდა იქმნენ ნიჭიერი და მამხადებული პირნი, ქალნი და ვაჟნი, მუდმივი წლიური ჯამაგირით, და პირველხანად ყველა დაბა-სოფელში თუ საკუთარი დასის ანუ გუნდის შედგენა ვერ მოხერხდება, მთელ რაიონში უნდა შესდგეს ერთი დასი, ერთი გუნდი, რომელიც ჟამისჟამად სოფლიდან სოფელში ივლის წარმოდგენა-კონცერტების, თუ სხვა სახელოვნო საღამოების გასამართავად. ასეთი წარმოდგენა-კონცერტები სულ უფასოდ თუ არა, იაფად, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში მაინც უნდა გაიმართოს საგანგებოდ შეჩვეული რეპერტუარით.

და ყოველივე ეს ერობისა და მისი ერთეულების—თემების საზრუნავი უნდა იყოს.

ვიცი, ბევრი ღიმილით წამოიძახებს: ერობას ქირნახულის მომარაგებაც კი ვერ მოუხერხებია, ხალხი სიმშლით და სიტუტვლით ეხოცება, თემს უბრალო ბოგირი ვერ გაუკეთებია, გზა ვერ გაუყვანია, გუბე-ჭაობი ვერ ამოუშვრია, სოფელი სიბინძურეში ეფლობა, ქურდ-ბაცაცებს ვერ შებრძოლებია და თავესა და სეტყვას ვერ გამკლავებია, და რა ეხელოვნებოა!—

ღიად, ყოველივე ეს მართალია, მაგრამ საკითხავია: ცოცხალი არსებისთვის რა უფრო საჭიროა: მზე თუ ჰაერი, წყალი თუ საჭმელი? და თუ დღეს ძე ადამისა ველოუად ქმნილია, გაოგნებულია და თავისი თავისაც არა გაეგება-რა, —განა უმთავრესად იმიტომ არაა, რომ ხელოვნებას არ ზიარებულა?



უჭმელ-უსმელი ადამიანი ხორციელად მოკვდება, ხელოვნებას მოკლებული—სულიერად.

გასაფლელად, სამოგზაუროდ გზაა საჭირო, მაგრამ ნამდვილ, ქეშმარიტ საარსებოდ ხელოვნება კიდევ უფრო საჭიროა.

იგი შექმნის აზროვნების მუშაობას, სიხალისეს, სიყვარულს, აღმაფრენას... წარმოშობს გმირობას, მოქალაქეობას, კეთილშობილებას, ზნეობრივ-გონებრივ სისრულეს.

ერთხელაც მითქვამს: თუ გვყავს მილიცია, კომისრები, მინისტრები, მასწავლებლები და სხვა მოხელენი, რომელთაც სახელმწიფო ხაზინა ხალხის ჯიბიდან ჯამაგირს აძლევს, წლიურ ჯამაგირით უნდა გვყავდნენ სხვა და სხვა დარგის ხელოვანნიც.

თვითარსებობას მოწყურებული ყოველი ერი თვისი ყოფა-ცხოვრების მოსაწესრიგებლად, სხვათა შორის, სკოლასა და ეკლესიას, იარსებს. და თუ ეს ასეა, ასევე უნდა აიგოს ხელოვნების ტაძრები, სახალხო სახლები, სადაც მთელმა ერმა უნდა ილოცოს ერთად ერთი ღმერთი ქეშმარიტებისა—მელპომენა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ თეატრი, საზოგადოდ ხელოვნების ტაძარი, ერთსა და იმავე დროს სკოლაც არის, ეკლესიაც სააღმზრდელოც, სამლოცველოც სულის განსასპეტაკებლად.

წარმართობაში ჩაფლულს ჩვენს ერს როდესაც ქრისტიანობა მიადებინეს, ახალი ეკლესია—ტაძრები აუგეს და მღვდელმსახურნიც მიუჩინეს.

ჩვენი ერი დღესაც წარმართობაშია ჩაფლული და მას ეჭირვება ვადანათვლა. ეს შეიძლება ხელოვნებით. ამას უნდა აეგოს ახალი ტაძრები, მიეჩინოს ახალი მღვდელმსახური—ხელოვნების ქურუნი.

ვიდრე ეს არ მოხდება, ჩვენი სამშობლოს განახლებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებას შეუძლიან განახლოს სამშობლო ჩვენი.

და, დაე, ეს წმიდა, ჩვენი ქვეყნის საშვილიშვილო საქმე, ერობამ იკისროს: ხალხის მზრუნველად ფორმალურად არჩეული, ფაქტიურადაც მაღამოდ უნდა ემკურნალოს.

იოსებ იმედაშვილი.





## † ილია წინამძღვრიშვილი.

სექტემბრის 2-ს ტფილისში გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულებაში მყოფი, დამსახურებული საზოგადო მოღვაწე ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი.

განსვენებული ილიასი და აკაკის დროინდელი მოღვაწე იყო და სხვებთან ერთად თავ-დაუზოგელად ეწეოდა სამშობლოს სამსახურს. იგი იმ მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელნიც არა ჰყვირიან, მაგრამ ჩუმად და გულწრფელად აკეთებენ დიდს საქვეყნო საქმეს.

განსვენებული თითქმის ყველა ჩვენს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებაში იღებდა უახლოეს მონაწილეობას და მრავალ წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა იმ დრომდე, ვიდრე ამის საშუალებას წაართმევდა ღრმა მოხუცებულება.

განსვენებული ხშირად პატარ-პატარა წიგნებსა ჰბეჭდავდა განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის დარგიდან და ამით ხელს უწყობდა ხალხში საჭირო ცოდნის გავრცელებას.

განსვენებული მოღვაწე საქმის კაცი იყო და ამიტომ ცხოვრებაში ანხორციელებდა იმას, რასაც სიტყვით ქადაგებდა; ამ მხრივ აღსანიშნავია განსვენებულის ერთი დიდი ღვაწლი: მიუხედავად იმისა, რომ ილია წინამძღვრიშვილი დიდი შეძლების პატრონი არ იყო, თავისი ინიციატივით და ხარჯით თავის სოფელ წინამძღვრიანთ-კარში დაარსა სამეურნეო სკოლა, რომელმაც არა ერთი და ორი ახალგაზრდა აღზარდა და სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი გამოუშვა ცხოვრებაში.

ეს უანგარო და პატიოსანი მოღვაწე დღეს უკვე აღარ არის, მაგრამ მისი ღვაწლი და ამაგი დაუფიწყარია და მომავალ თაობისთვის კეთილად მოსაგონარი.

განსვენებულის ცხედარი მისმა პატივიმცემლებმა ქვაშვეთის ეკლესიაში დაასვენეს, საიდანაც ცხედარი წინამძღვრიანთ-კარში წაასვენეს და მიწას მიაბარეს სამშაბათს, სექტემბრის 7-ს.





# ქ რ ო ნ ი კ ა.

## მთავრობაში.

მთავრობის თავმჯდომარისაგან.

(ცირკულიარული.)

მინისტრებს, მათ ამხანაგებს, ერობათა და ქალაქთა გამგეობებს და მათი კავშირების კომიტეტებს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

მრავალმა საჩივრებმა და პირადმა დაკირვებამ დამარწმუნა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში საქმის წარმოება ვერ მიმდინარეობს სასურველი სისწრაფით და წესებით.

საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად და ხარჯების შესამცირებლად ებრძანებ:

1) სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ერობებისა და ქალაქების თვითმართველობებში მინიმუმამდე შემცირდეს მოსამსახურეთა შტატები.

**შენიშვნა:** დღიდან ამ ცირკულიარის გამოქვეყნებისა ქალაქთა და ერობათა თვითმართველობათ შტატების შესამცირებლად ეძლევათ ერთი თვის ვადა, რის შემდეგ, თუ ჩემი ბრძანება ამ ხნის განმავლობაში სისრულეში არ იქნა მოყვანილი, შტატების შემცირებას მოახდენს ამ საქმისათვის ჩემ მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია.

2) უწყებათა უფროსებმა მიიღონ ზომები, რათა მათდამი რწმუნებულ დაწესებულებათა მოსამსახურენი თავის დროზე ცხადდებოდნ სამსახურში.

3) მიღებულ იქნას ზომები მინისტრების, მათი ამხანაგების და უწყებათა სხვა უფროსების მთხოვნელთა მიერ ნახვის გასაადვილებლად.

4) ყოველგვარი შუამდგომლობა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა ან კერძო პირისათვის დროზე იქნას განხილული და პასუხი დაუგვიანებლივ მიცემული.



5) ჩემს მომართვებზე ან ბრძანებებზე პასუხი მომეცეს დაუყოვნებლივ.

6) სასტიკად აიკრძალოს ერთი თანამდებობიდან რაიმე დანაშაულობისათვის დათხოვნილ პირის მეორე თანამდებობაზედ მიღება.

7) ქალაქებისა და ერობების თვითმართველობათა მიერ არ იქნას დაწყებული არავითარი ახალი საწარმოო საქმე ჩემს ნება დაუროთველად.

13 სექტემბერი, 1920 წ. № 20.

მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანიას.

## დეკლარაცია თავისუფალ ვაჭრობის შესახებ.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ევროპაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკის მისიების საშუალებით თავისუფალ ვაჭრობის შესახებ შემდეგი დეკლარაცია გამოაცხადა: „ორი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახით არსებობის დროს მას ჩამოშორებული ჰქონდა ბათომი—ისეთი ნავთსადგური, რომელიც ევროპისაკენ პირდაპირ გზას უხსნიდა. ივლისის 7 ბათომი საქართველოს შემოუერთდა და ქალაქში საქართველოს ადმინისტრაცია დამყარდა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ მომავალში საქართველოს კულტურული და ეკონომიური დამოკიდებულება ევროპასთან გაადვილებული იქნება. სამინისტრო ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ ეს დამოკიდებულება განამტკიცოს და უცხო სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ეკონომიური დამოკიდებულება დაამყაროს. ნავთსადგურები თავისუფალ ვაჭრობისთვის გახსნილია. სამინისტრო უზრუნველყოფს ყველას, ვინც კი საქართველოში საქონელს შემოიტანს. მათ არავითარ რეკვიზიცია არ მოუხდენენ, და ვაჭრობა მთელ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არაფრით არ იქნება შეზღუდული. სამინისტრო არ სდგანს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც უცხო ვაჭრების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. ამ ვაჭრებს ეძლევათ უფლება საქონლის თავისუფლად შემოტანისა და ვაჭრობისა. სამინისტრო არ ზღუდავს ვაჭრობას არავითარი ნიხრითა და ფასის დაწესებით. განმანაკლისს შეადგენს ფუფუნების საქონელი, რომელთა შემოტანა საქართველოში აკრძალულია. ყველა შემოტანილ საქონელზე ვაჭრებმა მხოლოდ განსაზღვრული საბაჟო გადასახადი უნდა გადაიხადონ. ეს გადასა-



ხადი საჯაროდ არის გამოცხადებული და მოთავსებულია მთავრობის ოფიციალურ ორგანოებში. იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველო არის გზა, რომლითაც შეუძლია ევროპაში სომხეთთან, აღერბეიჯანთან და სპარსეთთან დამოკიდებულების დაკავება, სამინისტრო სრულ უფლებას აძლევს ვაჭრებს საქართველოს ნავთსადგურებიდან საქონლის ტრანზიტისას ჩამოთვლილ სახელმწიფოებში. ყოველგვარი საქონელი, რომელიც უცხო ვაჭრის მიერ იქნება საქართველოს საზღვრებში შემოტანილი, არის პატრონის ხელუხლებელი საკუთრება და სამინისტრო მათ, სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, ვაჭრობის სრულ თავისუფლებას აძლევს. სურსათ-სანოვაგის და სამონობოლიო საქონლის (როგორც არის: მარგანეცი, თანაქო, მატყლი და აბრეშუმი) თავისუფლად ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის გარდა, ყველა სხვა საქონლით ვაჭრობა თავისუფალია და სამინისტრო სრულიად არ ჩაერევა მასში. ასეთ სავალდ-უტო საქონლის გატანას, როგორც არის ტყე, ქვა-ნახშირი და ტყავი, მომარაგების სამინისტრო აწესრიგებს. დანარჩენი საქონლის გატანა შეიძლება სრულიად თავისუფლად. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის ნავთსადგურებთან საქონლის თავისუფალი შემოტანა მოგებას მოუტანს, როგორც რესპუბლიკის მცხოვრებთ, ისე უცხო ვაჭრებს, რომელთა საქონელს ფართო ბაზარი გაეხსნება.

## ე რ ო ბ ა თ ა ს ხ მ ვ რ ე ბ ა

ერობათა კავშირის კომიტეტში.

ერობათა კავშირის კომიტეტმა სოხუმიდან დებეშა მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ იქ შესდგა აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა კავშირი, რომლის აღმასრულებელმა ორგანომ უკვე დაიწყო მოქმედება. ამის გამო ერობათა კავშირის კომიტეტმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა აფხაზეთის ერობათა გამგეობებს: ერობათა კავშირის კომიტეტი, რომელიც გამაერთიანებელი და ცენტრალი ორგანოა საქართველოს საერობო ყველა ერთეულებისა, აღნიშნავს, რომ ოთხი წევრის იმ გვარი ნაბიჯის გადადგმა მისთვის მოულოდნელი და გაუგებარიც არის. მოულოდნელი, ვინაიდან ამ ახალი კავშირის შესახებ კომიტეტს თავის წევრებისაგან არავითარი ცნობა არ ჰქონია და გაუგებარი მით, რომ კავშირის კომიტეტს არაფრით ამ გვარი მოპყრობა არ დაუმსახურებია. აფხაზეთის აღნიშნული



კავშირის დაარსება დასაშვები და აუცილებელიც იქნებოდა, რომ რესპუბლიკის ერობათა კომიტეტს უმოქმედობა გამოეჩინა და აფხაზეთის ერობათა ერთეულებს მხნეთ და მედგრათ არ ამოდგომოდა გვერდში. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ აფხაზეთის სამაზრო ერობის შუამდგომლობა მოხერხების ფარგლებში დაკმაყოფილებული არ ყოფილიყო; არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერობათა კავშირის კომიტეტს აფხაზეთის ერობები რაიმე განკარგულებით გამოეთიშა თავის კავშირისაგან. პირიქით კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა აფხაზეთის საერობო ერთეულების მომართვას.

ყოველივე ამის შემდეგ ერობათა კავშირის კომიტეტი, რასაკვირველია, გულნატკენია ამ გვარი მოპყრობით და ის იმედს მინიც არ კარგავს, რომ მისი წევრები განუმარტავენ მას, თუ რამ აიძულა ისინი ჩუმიად გამოყოფილიყვნენ რესპუბლიკის საერთო კავშირიდან.

### საბავშო ლიტერატურისა და სახალხო წიგნაკების გამოცემა.

ერობათა კავშირის კომიტეტს განზრახული აქვს ხელი მოჰკიდოს საბავშო ლიტერატურისა და სახალხო წიგნაკების ფართედ გამოცემას. მან პრინციპიალურად უკვე მიიღო საბავშო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციის წინადადება ამ გამოცემის ეროკავშირში გადმოსვლის შესახებ. ამ ჟამად შემდგარია კომისია, რომელიც შეადგენს ხარჯთ-ალრიცხვას და წარუდგენს კომიტეტს დასამტკიცებლათ საბავშო და სახალხო ლიტერატურის გამოცემის შესახებ.

### ეროკავშირის სატექნიკო განყოფილება.

შედარებით მოკლე ხნის არსებობის დროს ეროკავშირმა შესძლო მოეწყო მრავალი სხვა და სხვა დარგის სახელოსნოები, რომელთგან მრავალი უკვე მოქმედებს და ზოგიც მალე დაიწყებს მოქმედებას. სულ თორმეტი გვარის ცეხია უკვე მოწყობილი. ამ სახელოსნოთა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ ეროკავშირი აწყობს ელექტროს სადგურს, რომელიც აშენებული იქნება ოთხტაქტიანი, ოთხცილინდრიანი მამოძრავებელით „პოლიარ-დიზელის“ სისტემისა.



— შეძენილია დიდი სახერხავი ქარხანა მთელი მოწყობილობით განყოფილებებით როგორც: ხამანქანო, გადასაცემი, საქვაბე და სახერხი. ამ დარგის განსავითარებლად ეროკავშირს განზრახული აქვს მოაწყოს ხეტყის საქმე, როგორც საზღვარ გარეთ გასატანათ ისე შინ მოსახმარებლათ; განზრახულია მოეწყოს ხის გახმობა, ფალერის და პარკეტის წარმოება და ქიმიური დამუშავება ხისა.

— ეროკავშირს მოწყობილი აქვს საპნის ქარხანა, რომელიც უკვე მუშაობს და იაფ ფასებში აწვდის ერობებს საპონს. განზრახულია ამ ქარხნის იმდენად გაუმჯობესება, რომ მას შეეძლოს დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მოთხოვნების ნახევარი რაოდენობა, რითაც ბოლოს მოუღებს სპეკულიანტების აღვირ წახსნილობას.

— ბაღიაურში ეროკავშირი აშენებს წისქვილს, რომელიც დაფქავს დღე-ღამეში 2000 ფუთ ხორბალს; წისქვილი ორ თვეში დაიწყებს მუშაობას.

— თივის დამზადებით ეროკავშირმა ძლიერ დასწია საბაზრო ფასები-წელს დამზადებული იქნება მილიონ ნახევარი ფუთი თივა. 500 ათასი ფუთი თივა უკვე მოტანილია საწყობში.

### მეურნეობის გაუმჯობესება.

ერობათა კავშირის კომიტეტმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა ყველა ერობათა გამგეობას მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

დიდი შრომა და აუარებელი ენერჯია იყო საჭირო, რომ საქართველოს მოეპოვა პოლიტიკ. დამოუკიდებლობა; მრავალი მამულიშვილის თავგანწირულმა მოღვაწეობამ მიზანს მიაღწია და საქართველო დღეს თავისუფალი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. მაგრამ ამოა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ხანმოკლე იქნება ის, თუ კი მას თან არ მოსდევს ქვეყნის ეკონომიური აღორძინება; ეკონომიურათ სუსტი სახელმწიფოთა დამოუკიდებელი მოქმედება ხანგძლივი არ არის და მოსალოდნელია ამ გვარ ერთეულების ადვილად ჩაქრობა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური უძლურების გამო. ამის მიხედვით ყოველი მოქალაქე, ყოველი დაწესებულება და ორგანიზაცია ვალდებულია პოლიტიკური თავისუფლების მოპოების შემდეგ ამ თავისუფლებას ნიადაგი განუმტკიცოს ეკონომიური აყვავებით და გაძლიერებით. საქართველოც დღე-დღეობით ამ ხანაშია—



ორ წელიწადზე მეტია, რაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკათ არის აღიარებული და თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას აწარმოებს. რათა ეს ცხოვრება მტკიცე და მაგარი იქნეს აუცილებლად საჭირო არის საქართველოს ეკონომიურათაც გაძლიერება. ეხლა, როდესაც საყოველთაოთ დედა-მიწის ზურგზე დიდი ეკონომიური კრიზისია, როდესაც ამ ეკონომიური სისუსტის გამო და განსაკუთრებით სურსათის უქონლობის გამო ბევრი დიდი სახელმწიფოც საშინელ გაჭირვებას განიცდის, რასაკვირველია, საქართველოშიაც პირობები მწვავე ხასიათს ღებულობენ, მაგრამ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის საშუალებით ბევრ საშიშ შედეგებს და უბედურებას ასცდა ახალი რესპუბლიკა და მომქმედ ძალთა უნარზე და მუშაობაზეა დამოკიდებული მომავალშიაც სამშობლო აცდინოს მოსალოდნელ უბედურებას. სურსათის საკითხი საზოგადოათ მწვავე და დიდ საკითხად არის გადაქცეული. საქართველო ბედნიერია მით, რომ ბუნება მისი მდიდარია და მიწა ნოყიერი; საჭიროა მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესება, ყოველი მიწის ნაჭერის დამუშავება და მით პოლიტიკური თავისუფ. განმტკიცება. აუცილებელადა ეხლავე უნდა შეუდგეთ მზადებას მომავალი წლისათვის, რათა ყოველივე გათვალისწინებულ იქმნას, ყოველივე თავის დროზე სათანადოთ დამზადდეს, შეძენილ იქმნას საჭირო მასალა, იარაღები და სპეციალისტები, რომ მომავალში დაუმუშავებელი არ დარჩეს არც ერთი ნაკვეთი და სავსებით დაცული იქმნას ყოველივე, რაც ნიადაგს არ ასუსტებს და არ გამოფიტავს.

ამ დარგში დიდი შრომა მიუძღვის ერობათა ერთეულებს და ისინი მომავალშიაც შეეცდებიან ყოველივე იღონონ და მისცენ ხალხს ის, რისიც მიცემა საქართველოს ნიადაგს შეუძლია, რათა მოპოვებულ თავისუფლებას მაგარი საფუძველი ჩაეყაროს და განმტკიცდეს ახრი საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობისა.

### ევროპის სოც. დელეგაცია საქართველოში.

ევროპიდან სოციალისტების დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ საქართველოში, ეროკავშირმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა ერობებს: საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ცხოვრებამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და ამ ბოლო დროს მომქმედი პოლიტიკური პარტიები ძლიერ დაინტერესა.



ცნობაა და ცნობა უტყუარი, რომ საქართველოს სულ მალე ესტუმრება საზღვარგარეთიდან საგანგებო დელეგაცია სოციალისტებისა; დელეგაციაში შედიან ცნობილი წარმომადგენელი და მეცნიერი სოციალიზმისა დასავლეთ ევროპაში. დელეგაცია უეჭველათ მოისურვებს ადგილობრივ გაეცნოს საქართველოში პოლიტიკურ ძალების ნამოქმედარს და საქართველოს ეხლანდელ ეკონომიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სხვა მდგომარეობას.

ამ შემთხვევაში უმთავრესი და პირველი მიმწოდებელი ცნობებისა, რასაკვირველია, ერობების ერთეულები იქმნებიან, რომლებიც არიან ადგილობრივ ყოველივეს გამომხატველნი და მომქმედნი.

აღნიშნულის მიხედვით სამაზრო ერობათა გამგეობანი, უეჭველათ დაუყონებლივ შეუდგებიან სათანადო სამზადისს, ეხლავე მოახდენენ საქირო განკარგულებას თემების მიმართ და დაამზადებენ ყოველივე მასალას, რომელიც შეიძლება მოითხოვოს დელეგაციამ, ან რომლის გადაცემა სასურველია.

ეროკავშირი ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ერობათა ერთეულები, როგორც სამაზრო, ისე თემების, ყოველივეს იღონებენ და შექმნიან სათანადო პირობებს, რათა მომავალმა დელეგაციამ თავის თვალთ იხახულოს, თუ რა ვაკეთდა საქართველოში ამ ორი წლის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს ერთ ხელში ხმალი ეკავა და ეხლაც უკავია შემოსეულ მტერთა მოსაგერებლათ და ასალაგმავათ.

### **ხაზინიდან სახ. სკოლებისთვის გამოტანილ თანხების შესახებ.**

სახელმწიფო კონტროლის თხოვნით ერობათა კავშირის კომიტეტმა დაუგზავნა მიწერილობა ყველა სამაზრო ერობებს, რათა დაუყონებლივ გადმოგზავნონ კონტროლში მათ მიერ ხაზინიდან სახალხო სკოლების საჭიროებისათვის გამოტანილ თანხების ყველა გასამართლებელი საბუთები 1919 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 1 იენისამდე.

### **ნეიტრალურ ზონაში საქონლის გატანა.**

ერობათა კავშირის კომიტეტმა მომარაგების სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით ნეიტრალურ ზონაში მანუფაქტურისა და სხ. საქონ-



ლის გატანის უფლების ნებადართვის შესახებ. კომიტეტის მიზანია ამ გზით ნეიტრალურ ზონაში მატყლის შესყიდვა.

### ტფილისის სამაზრო ერობაში.

— ერობას განსაზღვრული აქვს ავგოს წისქვილი ყარაიაზის სადგურთან. ამ მიზნით მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე აღიძრება შუამდგომლობა, რომ ხსენებულმა უწყებამ ერობას დაუთმოს წისქვილისთვის საჭირო ადგილი ყარაიაზის სადგურის ახლო.

— მანგლისში მეტეოროლოგიურ სადგურის მოსაწყობად ერობამ ამ საქმის საჭიროებისათვის გადასდო 30000 მანეთი.

— ერობამ სასკოლო განყოფილებას წინადადება მისცა, რომ ერობის სკოლებში აკრძალოს მღვდლების მასწავლებლად მიღება. სკოლები სრულიად განთავისუფლებული იქნებიან სამღვდლო პირებისაგან.

### გორის სამაზრო ერობაში.

— ერობის გამგეობამ გადასწყიტა აიღოს იჯარით მიწათ-მოქმედების სამინისტროდან სახლი, სადაც გამგეობას განზრახული აქვს მოაწყოს სანატორიუმი მოხელე-მოსამსახურეთათვის.

— მაზრაში მიწისძვრისაგან დანგრეულ სოფელთა ასაშენებლათ სწარმოებს დაგეგმა, რისთვისაც შემდგარია კომისია სპეციალისტებთან; მრავალი სოფლის გეგმა უკვე მიღებული და დამტკიცებულია სამაზრო გამგეობის მიერ: აგრეთვე დამტკიცებულია დანგრეულ სოფლების აღსადგენათ შემუშავებული ინსტრუქცია. სოფლის დაგეგმის საქმე შეერთებულია საადგილმამულო განყოფილებასთან,

— გორის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის რწმუნებულის წინაშე მთა ოსეთში, რათა საამშენებლო მასალები იმ დატოვებულ სოფლებისა, რომელთა დასახლება ეხლავე არ არი განზრახული, გადმოეცეს სამაზრო ერობას.



— აღიძრას შუამდგომლობა მომარაგების სამინისტროს წინაშე, საზარო ერობის ხმოსანთა საბჭოს თავმჯდომარის შუამავლობით, რათა მიეცეს ერობის საწყობს ნებართვა 250 ფუთი მატყლის გატანაზე საზღვარ გარეთ უკვე შეძენილ სამეურნეო იარაღის დასახსნელად.

— სამაზრო ერობას განზრახული აქვს შეუდგეს სკოლის გარეშე განათლების მოწყობას. განზრახულია გაიხსნას სახალხო უნივერსიტეტი 11 ადგილას (ბორჯომი, ხაშური, სურამი, გომი, ქარელი, ახალქალაქი, ქვემო ქალა, მეჯვრისხევი, ცხინვალი, გორი, რუისი).

— 20 მილ. მანეთი, რომელიც მთავრობიდან ერობას აქვს გადაცემული აღმშენებლობისთვის გამგეობამ დაადგინა მოიხმაროს შემდეგი სახით: მთავარი აღმშენებლობა გამგეობამ აწარმოვოს კაზარმებთან ერობის დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მოხელეთა შენობისათვის. რაც შეეხება შუაგულ ქალაქში შენობების ყიდვას, ამასაც ნუ გაუშვებს ხელიდან ერობა შეძლებისადაგვარად.

### გურიის სამაზრო ერობაში.

გურიის ოლქის მოსამართლეთა ყრილობამ, თანახმად ერობის გამგეობის შუამოგომლობისა, შემოიღო მოსამართლეთა მიერ უბნის შორეულ სოფლებში საქმეების აღგილობრივად გარჩევა. ერობის გამგეობა აძლევს დღიურებს მსაჯულსა და მის მდივანს უბანში აღგილობრივად საქმის გარჩევის დროს, თანახმად ერობაში არსებულ ნორმებისა, თავის საშუალებიდან.

კონხარას (ყოფილი საჭამია-სერის) თემის გამგეობის უკანონო მოქმედების გამო ერობის გამგეობამ ამ დღეებში შემდეგი დაადგინა. ვინაიდან გამოძიებამ გამოარკვია, რომ კონხარას თემის გამგეობას უსამართლოდ გაუნაწილებია ხელ-მოკლე მცხოვრებთათვის მიცემული სიმინდი, რომლიდანაც იაფ ფასიანი (250 მან. ფუთი) გაუნაწილებია თავიანთსა და აგრეთვე აღგილობრივ გავლენიან პირებთა შორის და ისიც დიდი რაოდენობით, მეტ ფასიანი სიმინდი კი (600 მან.) მიუციათ გაქირვებულთათვის ძლიერ მცირე რაოდენობით, გამოეცხადოს კონხარას თემის გამგეობის შემადგენლობას საყვედური და წინადადება მიეცეს მას, რომ ვისაც სამს ფუთზე მეტი აქვს წაღებული სიმინდი, დაუყონებ-



ლივ დააბრუნონ თემში ზედმეტი ათი დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ პირთ გადახდეს ფუთზე რვაასი მან., ამ 250 მან. გამოკლებით, რომელიც მათ გადაიხადეს ამ სიმინდის ფასად.

— ერობამ განკარგულება მოახდინა, რათა მოძებნილი და იძულებითი ზომების საშუალებით იქნას მოყვანილი ანგარიშების გასასწორებლათ ჩოხატაურის თემის ყოფილი თავმჯდ. ბერძენიშვილი, რომელმაც მიატოვა თემი თავის მოადგილესთვის საქმეების და ანგარიშების ჩაუბარებლად.

— ერობის გამგეობამ სასურველად სცნო თემში სასურსათო ბედლების მოწყობა; სათანადო პროექტის შედგენა და გამგეობისათვის წარმოდგენა დაევალა სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებას.

— შიმშილობამ გურიაში უმაღლეს წერტილამდე მიადწია. ერობის მიერ მიღებულმა ზომებმა რამდენიმედ შეამსუბუქა ხალხის გაჭირვება ამ დარგში. ამ დღეებში ერობამ დამშეულ ხალხს დაურიგა 2 ვაგონი სიმინდი და 2 ვაგონი ქერი. სიმინდი ადგილობრივ ბაზარზე ფასობს 2.000—2380 მან.

— ერობამ შეიძინა ქ. ლანჩხუთში აფთიაქი მთელი თავისი მოწყობილობით და ავეჯეულობით.

— ჩოხატაურის საერობო გიმნაზიისათვის ერობა იწვევს გამოცდილ მასწავლებლებს, რომელთაც ჯამგირს გარდა მიეცემათ ბინა-გათბობა-განათებით. ამ გიმნაზიაში, როცა ის ერობას გადმოეცა, აღმოჩნდა ბევრი უცენზო და გამოუცდელი მასწავლებელი; გამგეობა სცდილობს იმათი უკეთესებით შეცვლას.

— ამავე გიმნაზიის შენობის შესაკეთებლათ და ავეჯის შესაძენათ ერობამ გადასდო 167.000 მან.

— ერობის გამგეობის შუამდგომლობის თანახმად მოხდა რევიზია ადგილობრივ სამხედრო აღრიცხვის ნაწილისა. აღმოჩნდა სამხედრო სამსახურიდან უკანონოთ განთავისუფლების რამდენიმე შემთხვევა, რის გამოც სამსახურიდან დაითხოვეს და პასუხისგებაში მისცეს ნაწილის საქმის მწარმოებელი ლომიძე.



— ამ დღეებში ერობის გამგეობის წევრმა გ. ბერეჟიანმა მოახდინა რევიზია ხიდისთავის თემის გამგეობის მოქმედებისა; აღმოჩნდა ბოროტ-ოქმედება ანგარიშებში, რის გამოც საქმე გადაეცა გამომძიებელს დამ-მნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ.

— ერობამ გადასწყვიტა, მომავალ სამოსწავლო წლიდან დაარსოს რამდენიმე სტაჰენდია სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ მიზნით დაევალო სასკოლო განუ, წარმოუდგინოს გამგეობას იმ სტუდენტთა სია, რომელ-თაც უნდა დაენიშნოს სტიპენდია.

### ახალციხის სამაზრო ერობის ხმოსნების მესამე ყრილობის ოქმი

ყრილობა, რომელიც მოხდა 1920 წ. 28 აგვისტოს გახსნა გრიგოლ კეკელიამ და წინადადება მისცა ყრილობას აერჩიათ მუდმივი პრეზიდი-უმი. არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარეთ ხმოსანი ლ. რუხაძე, მის ამხანაგად ხმოსანი შვექეთ მუხტალ ოღლი, სარონ ტერ-გრიგოროვი და მდივნათ პ. მერაბიშვილი. ყრილობას 33 ხმოსნიდან დაესწრო 22 ხმოსანი.

თავმჯდომარემ მიმართა ყრილობას მოკლე სიტყვით-ამცნო ბათუ-მის ოლქის შემოერთების აქტის დიდი მნიშვნელობა და წინადადება მისცა ყრილობას შესაფერი მილოცვის დეპეშები გაეგზავნოს დამფუ-ძნებელ კრებას, მთავრობას და ბათუმის მეჯლისს. ყრილობამ წინადა-დება ერთ ხმათ მიიღო და შესაფერი დეპეშების გამომუშავება და გა-გზავნა პრეზიდიუმს დაავალა.

დღის წესრიგში დაისვა შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, 3) მეხუთე გამგეობის წევრის არჩევა, 4) ერობის მოსამსახურეთა შტატების გადასინჯვა, 5) ხმოსნებისათვის დღიურების გადიდების შესახებ, 6) მთავრობიდან აღებულ სესხის 4. 700. 000 მანეთის დადასტურება, 7) სკოლების აღდგენა, 8) აღმინისტრაციის გადმოცემის შესახებ, 9) აგრარულ რეფორმის გატარების შესახებ, 10) ერობის მიერ გაწერილ ხორბლით გადასახადის აკრეფის შესახებ, 11) რკინის გზის გაყვანის შესახებ, 12) ტყით სარგებლობის შესახებ.



ყრილობას ეწვია შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, რომელსაც დამსწრენი ტაშის ცემით შეხვდნენ. ყრილობის თავჯდომარემ მიმართა ბ. მინისტრს მოკლე სიტყვით, რომელშიაც დაახასიათა ძველი მესხეთის უმწეო მდგომარეობა. აღნიშნა მიზეზები შექმნილი მდგომარეობისა, და იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს საქართველოს ძველი კულტურის აკვანის,—მესხეთის ასაღორძინებლათ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა მიმართა ყრილობას სიტყვით, სადაც აღნიშნა როგორი დახმარება აღმოუჩინა მთავრობამ მათ სესხის სახით და რა ჩქარი ნაბიჯით იქნა გაყვანილი სესხის მიცემა, რაც მთავრობის თქვენდამი განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას ამტკიცებს. შემდეგ მინისტრმა სთქვა: ვიცი რომ აქ დაძრწიან აგენტები და ჭორებსაც ავრცელებენ, რომ ბევრი აქაური მცხოვრები ოსმალეთს შეჰყურებს და ჰგონია, რომ ჩვენი სიმ უკიცე დროებითია და ოსმალეთის გაძლიერებას უცდიან; მაგრამ მე აქ თქვენ აშკარათ და გულახდილათ უნდა გითხრათ, რომ ისინი ღრმად სცდებიან. ჩვენი რესპუბლიკა მტკიცე საფუძველზე დგას. ამას მოწმობს გასული ორი წელი და 7 ივნისი, როდესაც ჩვენმა ჯარმა ბათუმის ოლქი დაიკავა და დიდი ინგლისის დროშის მაგივრათ საქართველოს დროშა აფრიალდა. თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ, რომ ოსმალეთი სამუდამოთ დაინგრა. ის დაანაწილეს და სიძლიერის არაფერი აქვს. საქმე იმაში კა არარის, რომ აღმინისტრაცია მიიღოთ, არამედ ამცნოთ ფართოთ ამ მაზრის მცხოვრებთ ნამდვილი მდგომარეობა, თორემ ანარქიულ გამოსვლების მოსასპობად, რაგინდ კარგი დისციპლინის ჯარი არ მოქმედობდეს მაინც ის მხარე, სადაც ანარქიულ გამოსვლებს ადგილი ექნება დიდ ზარალს ნახავს. თქვენ უნდა ამცნოთ ხალხს, რომ არც ერთ ძალას არ შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის სიმტკიცის შერყევა. ამ დღეებში აღმინისტრაციას ჩავაბარებთ დადარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მიჰყოფთ ხელს მაზრაში წესიერების აღდგენას. მე მოგესალმებეთ თქვენ მთავრობის სახელით და გისურვებთ გამარჯვებას. გაუმარჯოს თქვენს საქმიანობას.

ყრილობამ ერთხმათ აირჩია გამგეობის მიერ წამოყენებული და აღმინისტრაციულ კომისიისაგან დადასტურებული კანდიდატები მომრიგებელ მოსამართლეთა: ა) ნიკოლოზ მიხაილოვი, ბ) იოსებ გაბრიელის ძე ღვინიაშვილი, გ) კლიმენტი ეპიფანესძე კლიმიაშვილი, და დ) არ-



ჩილ ნიკოლოზის ძე ჭუმბურიძე, ხოლო მათ კანდიდატათ ნიკოლოზ გიორგისძე ხატიაშვილი.

მეხუთე გამგეობის წევრათ ერთ ხმით არჩეულ იქნა შალვა მაღლაკელიძე.

გამგეობის დადგენილება ამა წლის 16 ივლისიდან მთავრობიდან 4.700.000 მანეთის სესხის აღების შესახებ დადასტურებულ იქნა.

გამგეობას დაევალა: ა) ძველი სკოლების აუცილებლათ დაუყონებლივ აღდგენა, რომ 1 ოქტომბრიდან მაინც მეცადინეობა შესაძლებელი გახდეს. ბ) ვინაიდან შესაფერი მასწავლებლები სკოლებისთვის არ მოიპოვება აღიძრას განათლების სამინისტროს წინაშე, რათა სახელმწიფო ხარჯზე მოეწყოს ერთ-ერთ საოსტატო სემინარიასთან ერთ წლიანი მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები ახალციხელ მკვიდრ მუსლიმან და ქრისტიან ქართველთათვის, რომელთაც აქვთ დასრულებული უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ან გამოსულნი არიან გიმნაზიის 5-6 კლასებიდან, იმ აუცილებელი პირობით, რომ იმსახურებენ ახალციხის მაზრის სკოლებში არა ნაკლებ 4-5 წლისა. გ) მიეცეს უფლება გამგეობას მისცეს დამატებითი ჯამაგირები მასწავლებლებს როცა სკოლები ერობის ხელში გადმოვა, ისე როგორც სხვა ერობები აძლევენ. სასურველია გაიხსნას მთელი რიგი უმაღლეს დაწყებითი სკოლებისა, აღიძრას შუამდგომლობა, რომ წელსვე გაიხსნას უდემო და აწყურში უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები.

გამგეობას და ხმოსანთა ყრილობის აგრარულ კომისიას დაევალა რაც შეიძლება ხშირათ მოახდინონ კანტროლი რაიონულ აგრარულ კომისიებისა, რათა ბოროტმოქმედებას ადგილი არ ექნეს.

ვინაიდან ახალციხის მაზრა და აქედან მთელი ჯავახეთი და არტაანი სრულიად მოწყვეტილია ცენტრს და საშუალება არ აქვთ მცხოვრებთ ეკონომიური ურთიერთობის გაჩაღებით დადგნენ საქართველოს კულტურის გავლენის ქვეშ, ყრილობა ერთხმად ადგენს ეთხოვოს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას დაისვას მორიგ საკითხაუ ახალციხე-არტაანის რკინის გზის გაყვანა და მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა ეს იღვა განხორციელდეს, რითაც სამუდამოთ ბოლო მოეღება ადგილობრივ მცხოვრებთა კარჩაკეტილობას და მისი განვითარება მსწრაფლი ნაბიჯით წავა წინ. ამისათვის ყრილობა ირჩევს დელეგაციას მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან საშუამდგომლოთ:

1. ლ. რუხაძეს, 2. მ. მიქელაიშვილს, 3. შვექეთ მუხტაღ ოღლის, 4. შალვა ვარდიძეს.





# სიღნაღის სამაზრო ერობაში.

სიღნაღის სამაზრო ერობის ურდობის ოქმიდან  
1920 წ. შემოსავლისა და გასავლის ვარაუდის ნუსხა.

გ ა ს ა ვ ა ლ ი		შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი
§ 1	შენახვა მილიციისა და სასამართლოს დაწესებულებათა ხარჯები. . .	7,564800
§ 2	შენახვა ერობის მმართ.	5,151120
§ 3	შენახვა საპატ. ადგილ.	20000
§ 4	გზათა აღმშენებლობა, ჰიდრო-ტექნიკა და ტელეფონის ნაწილი . . .	11,063000
§ 5	სახალხო განათლება . . .	11,465160
§ 6	საზოგად. მზრუნვ. . .	300000
§ 7	სახალხო ჯანმრთელობა	7,136610
§ 8	სავეტერინარო დარგი.	745400
§ 9	ეკონომიური აღორძინების ღონისძიებანი . . .	10,342600
§ 10	ვალების გადახდა . . .	3,000000
	სხვადასხვა გადასახადი.	3514134
§ 11	გადარიცხვა თანხების	
§ 12	შესადგენად . . . . .	5,100000
§ 13	სათადარიგო თანხა. . .	3597170
		89000000
		გადმოირიცხა თავისუფალი თანხა.
		ა) ნაღდი ფული
		ბ) ნაშთი გადასახადი, რომელიც საიმედოთ ითვლება.
		3,495910
		§ 1 საფონდო, საიჯარო და ერობის მამულებიდან . . .
		9,441702
		§ 2 სხვადასხვა ბაჟები . . .
		2,675000
		§ 3 მთავრობის კრედიტი და ხარჯების ანაზღაურება
		10,390626
		§ 4 სხვადასხვა შემოსავალი
		5,2967912
		§ 5 გადასახადი სავაჭრო მოწმობებზედ . . . . .
		1,000000
		§ 6 გადასახადი უძრავ ქონებაზედ . . . . .
		28840
		§ 7 უკანასკნელი სესხი 100 მილიონიან სესხილ.
		9,000000
		89000000

## ს ე ს ხ ი.

გამგეობის მოხსენება დამფუძნებელი კრების მიერ ერობათათვის ას მილიონიანი ფონდიდან სიღნაღის სამაზრო ერობისათვის ცხრა მილიონ მანეთის და სამეურნეო იარაღების შესაძენათ ოცდაათი მილ. სესხის მთავრობიდან გამოთხოვის შესახებ. ყრილობამ დაადგინა: მოხსენება დამტკიცებულ იქმნეს და დაევალოს გამგეობას აღძრას დასაბუთებული შუამდგომლობა სადაც ჯერარს აღნიშნულ თანხათა გამოთხოვის შესახებ.





## სამურზაყანოს სამაზრო ერობაში.

— ერობის გამგეობამ გადასწყვიტა მოახდინოს ერობის საქმის წარმოების ნაციონალიზაცია.

— მაზრაში ტექნიკური განყოფილება უკვე შეუდგა ტელეფონების გაყვანას, ტელეფონი უკვე დადგმული და გაკეთებულია რამდენიმე სოფელში. მუშაობა მალე დამთავრდება.

— ერობის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს შეისყიდოს ორი დიდი სახლი მაზრის სხვა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. სახლები გამგეობას დაუჯდება ორ მილიონ მანეთამდე.

— დ. აჩიგვარაში გაიხსნა საექიმო პუნქტი.

— ს. ოქუშში გაიხსნა სამომრიგებლო სასამართლო.

— სოფლის ადმინისტრაციის დასაკმაყოფილებლათ გამგეობამ აფხაზეთის კომისარიატისაგან მიიღო ექვსასი ათასი მანეთი ავანსათ. ადმინისტრაციის დაკმაყოფილებას ამ დღეებში შეუდგებიან. მილიცია გულმოდგინეთ მუშაობს ბოროტ-მოქმედთა საწინააღმდეგოთ. ამიტომ არის, რომ მაზრაში საუცხოო სიწყნარე სუფევს.

— მაზრაში მოსავალს კარგი პირი უჩანს. ხალხს იმედი აქვს, რომ გაიხსნათ შიმშილობა არ იქნება.

— ერობის გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს ხორბლის თესლი და დაურიგოს საზოგადოებას დასათესათ.

— გამგეობის სასურსათო განყოფილებამ მოსამსახურეთა სურსათით დასაკმაყოფილებლათ შემოიღო ბარათებით გაცემის წესი.

— ხმოსანთა ყრილობის მოწვევა განზრახულია ენკენისთვის დამლევს.

— გამგეობასთან დაარსდა საკუთარი გამგით სამხედრო მაგიდა. წინათ ეს საქმე ებარა სამაზრო კომისარიატს.

— წვრილი ერთეულების შემოღება მაზრაში განზრახულია ერთი თვის შემდეგ. წინასწარი მუშაობა უკვე სწარმოებს.

## ქუთაისის სამაზრო ერობაში.

— ადგილობრივმა ერობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია გზების გაყვანასა და შეკეთებას. ერობას ახალი შარა გზები არ გაუყვანია, მაგ-



რამ არსებული შარა-გზები შეაკეთა. ააგეს ოთხი ახალი ხიდი. განზრახულია ახალი ხიდების აგება რიონსა და ცხენის წყალზე.

— წვრილი საეროზო ერთეულები შეერთებულია ცენტრალურ ფრონტსთან ტელეფონით.

— მაზრაში სულ 44 თემია. თვითეულ თემში მცხოვრებთა რიცხვი 260—1800 უდრის. თემის ხმოსანთა რიცხვი 15—35 არის. თვითეულ თემს ჰყავს მილიციონერთა შტატი. მაზრაში სულ 166 მილიციონერია. მილიცია ენერგიულად მუშაობს.





## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

(გ. წერეთელი, კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა. (მგზავრის წერილებიდან) ნაწილი პირველი და მეორე. მოთხრობა-მამიდა ასმათი. მოთხრობა-რუხი მგელი. რომანი-პირველი ნაბიჯი წერაკითხ. გ. საზ. გამოცემა.)

გ. წერეთელი ჩემი ყმაწვილობის დროის ერთი უსაყვარლესი ქართველი მწერალთაგანია. თუ მახსოვრობა არა მალაატობს, სასწავლებლის მეორე თუ მესამე კლასში ვსწავლობდი, მისი მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვეელი“ რო წავიკითხე, ეს მოთხრობა დასტამბული იყო მაშინდელ ჟურნალ „კრებულში“.

ეს მოთხრობა შემიყვარდა პატარაობიდანვე. ალბათ, იმიტომ უფრო, რომ იქ აწერილია მხატვრულათ მოწაფის ცხოვრება, ამასთანავე ახლო ნაცნობი, მშობელი ქვეყნის-ქუთაისისა, მდ. რიონის და მისი მშვენიერი არე-მარის. განსაკუთრებით შემიყვარდა მოთხრობის გმარი—დიტო. ავტორს იგი ყავს აწერილი ისეთი სიტყვებით, ისეთი ძლიერი სტილით, რა მან საუკუნოთ შემაყვარა ქართული წიგნი და თვით სიცოცხლეც.

გიორგი წერეთელი, ვითარცა რეალისტი-ბელეტრისტი, ჩვენი ცხოვრების ერთი დიადი კომენტატორია. და აქაც, ამ ნაწერებშიაც, სახელდობ, „მგზავრის-წერილებში“, „პირველ ნაბიჯში“, „მამიდა ასმათსა“ და „რუხ მგელში“ დიდი ანალიზით შეიარაღებული აზრებისა და განცდათა მხატვარია და გზა და გზა ძლიერთაც ანათებს და დაკვესილს ნაპერწკლებს ირგვლივ ჩინჩხლებათ ისერის. წერის მანერისა და სტილის გარდა, ავტორს მეთოდიც საოცარი მიმზიდველი და გამომეტყველ-დამტყვევებელი აქვს.

გ. წერეთელი საგანს რო ხელს მოკიდებს, არ მოეშვება მანამდის, სანამ სულ არ ამოსწურავს. იგი ყოველის მხრით თავს მოუფლის და გააშუქებს საგანს, მდიდარი აზრებითა და გძნობებით ცოცხლათ დაგისურათებთ და ამით ისე მიგიზიდავთ და გაგიტაცებთ, რო თქვენც ძალაუნებურათ ენორჩილებით ამ ნაზი, მაგრამ პირმცინარე, იუმორით სავსე ტალანტის შემოქმედებას. გ. წერეთელი ამ ბელეტრისტულ ნაწერებშიაც სწოროეთ ისეთივე ისტორიკოსი და ბუნების მეტყველია, როგორც სხვა ნაწერებშიაც, სადაც ჯდომაც, მეცადინეობაც და შემოქმედების ძალის თავისუფლათ მოხმარებაც დიდხანს და ნიჭიერთაც შეუძლია.



ავტორს ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნების ყოველი ნაკვეთი მხატვრულათ აქვს აწერილი. მას არ გამოპარვია დასავლეთი საქართველოს არცერთი თვალსაჩინო მთა და ბარი, ხეობა, მდინარე და ხევიც, მცხოვრებლების ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ქართული ენის გამოთქმა და ყოფა-ქცევა, მთელი იმ დიდი არემარის ჭირი და ლხინი, სიხარული, სიყვარული, ბედნიერება; გაზაფხული აწერილია ვზა-და-ვზა „მგზავრის წერილების“ პირველ ნაწილში. აგერ, ამ წამს, ეს სასწაულთ შემოქმედი მწერალი თქვენი თვალისწინ ხატავს დიდი მთებიდან საშინლად მოღრიალვ, მჩქეფარე მდინარეს, ათასნაირი ვარდ-ყვავილებით, ტყე-ბუჩქებით, ნაძვითა და ფიჭვით მდიდრად შემოსილ მდინარეთა ნაპირებს, რომელთაც ადამიანის გრძნობა-გონების, ტალანტის საოცნებოთ ზურმუხტის ფერად ამ ედემს მაღლიდან გადაფარებია სამხრეთის ცის უმშვენიერესი ლაქვარდი. ის არის კლასიკური კოლხიდა, სადაც ხარობს დაფნა, ფორთოხალი, ზეთის ხილი, მწიფდება ლეღვი, ბია (კომში), სხვა და სხვა ჯიშის ყურძენი და გურჩის საუცხოო თაფლიც მოდის...

როგორც ეს მდიდარი კოლხიდის ბუნება ახალისებს, აცქვიტებს ადამიანის ბუნებას და არსებას, სწორეთ ისე გ. წერეთლის ბელეტრისტული ნაწერები ახალისებს, ასიამოვნებს და უტკობს კაცს გრძნობა—გონებას, აფაქიზებს და აცოცხლებს მის სულსა და გულს, ათასნაირ პატიოსანი და კეთილშობილ ფიქრებს აღძრავს მის არსებაში და იწვევს ლამაზი სიცოცხლის დაუშრეტელ სიყვარულს ამ დიადი განხორციელებული შვენეირების ყურებითა და ცქერით.

არაფერი გადაჭარბებული, ზომიერებას გადაცილებული ამ აღწერილობაში არ არი. ახლა ნახეთ აქ დახატული წვრილათ გაწკიპინებულ უღვაშებიანი, დარჩენილი აზნაური, გახრეკილ ცხენზე მჯდომარე კუდაბზიკა. ეს კუდაბზიკა ნამდვილი შესანიშნავი ტიპია, რომელიც ევროპის კლასიკური დიად მწერალთა ნაწერების შემოქმედების ნაწრთობს მოგაგონებთ.

კუდაბზიკა თითქოს ეპიზოდური ფიგურააო, გაიფიქრებს მკითხველი. იგი ჭირდება ავტორს ნაწარმოების ფაბულისთვის. გ. წერეთლისთვის იგი ფრიად საჭიროა, თითქმის არსებითი ფიგურაა, რომ უფრო ღრმა და ძლიერის კოლორიტებით გაარკვიოს თავისი წარმოების საგანი, დახატოს თავისი ნაწერის გმირები სრულათ. კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა მგზავრის წერილების სახით იწერება და პირველ ნაწილში ავტორი ხატავს ბატონ-ყმობის გაუქმების დროის სურათებს. ასეთი დიდი ფაქტებით ჩვენი მაშინდელი ცხოვრების სინამდვილე დიდათ დიდ მასალას აძლევდა მწერალს და ეს სურათები დახატული აქვს მას სწორეთ ისე, როგორც ეს შეეფერება პირველ ხარისხოვან ბელეტრისტს.

მეორე ნაწილში განსაკუთრებული ძლიერებით დახატული ჰყავს კიკოლიკი, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში ერთ დროს დიდი როლი ითამაშა. ეს ნაწილი გაცხოველებულია კიკოლიკის სტუდენტობის დროის ცხოვრების აღწერით, უნივერსიტეტის სტუდენტთა ბაასებითა და კამათით მეცნიერების სარგებლობაზე, ხალხის სამსახურისთვის თავის დადებაზე, გარიბალდის და გარიბალდიე-



ლების საარაკო, ისტორიულს გმირულს თავგადასავალზე. გიორგის თან ავტობიოგრაფიული ცნობებიც შეაქვს: საქართველოში გაზეთ „დროების“ და სტამბის დაარსებაზე, ამხანაგურათ მოწყობილ საფუძველზე.

მოთხრობაში „მამიდა ახმათი“ ავტორი სიმბოლიურათ ხატავს დაქვრივებული ლიხთიმერეთის მანდილოსანის გაუხარებელს ცხოვრებას. აქ, ამ ნაწერში მან მოგვცა ერთიანი, მთლიანი, წმინდა ობექტივური მხატვრული სიმართლე, სადაც არა სჩანს ტენდენციის ნასახიც-კი. გ. წ. ეს ნაწარმოებიც ძლიერი ქართულით აქვს დაწერილი და ამიტომაც ილია ჭავჭავაძემ იგი გაზ. „ივერიის“ პრემიით გამოსცა გაზეთში დაბეჭდვისათანავე.

მოთხრობაში „რუხი მგელი“ მხატვრულათ აწერილია მდიდარი ქალის მთის მონაწილეთა ახირებულობა და ოინები. ამ ოინების სხვერპლი შეიქნენ სამსონ ჯიბიაშვილი და ავთანდილ კვიციანი, რომელნიც ავტორს დიდი სარკასმით აწერილი ყავს...

რაც შეეხება რომანს — „პირველ ნაბიჯს“, ეს-კი შეიცავს ერთ დიდ საერთო საკაცობრიო დრამატიულ პოემას, რომლის მდიდარი, შვენიერი სტილი ქართული ხელოვნების მწერვალზეა აყვანილი და სიტკბოების ნეტარების წყაროს წარმოადგენს. ბახვა ფულავა და ერემია წარბა ტიპებია, რომელთა თავგადასავალი, ტრალიზმი, ჭეშმარიტად, დიდად წარუხოცველ ჩაბეჭდილებას ტოვებს მკითხველის გულში.

ეს რომანი ლიტერატურულათ ნამეტურ ძალიან დამუშავებულია და გ.წ. ბელეტრისტულ ნაწერებს შორის დიდ ბწყინვალე გვირგვინათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ტიპები — ბახვა ფულავა და ერემია წარბა ძლიერათ მხატვრული კალმის გაქნევით საუცხოოთ დახატული არიან და იმათი სულის მოძრაობაც, ცხოვრების კონტრასტებიც ზედ მიწევნით აქვს გადმოცემული. ჩვენმა უკვდავმა ავტორმა აქ გამოიჩინა დიდი ტემპერამენტი და ფსიქოლოგიური სიმართლეს ამიტომ სრულად დაბატა. ამ რომანში ავტორს პარტეცუბა პარსად აჩქარება, სულდაუთქმელობა, თითოულ ნაკვთს დიდათ დამუშავებულს გვაძლევს. ავტორის ობიექტივიზმი აქ საოცარია და მხატვრული ზომიერება ყოველგან დაცულია და ამიტომაც ეს ნაწარმოები \*) ძალიან გვიადვილებს გიორგი წერეთლის შემოქმედების ტალანტის გაგებას და შეფასებას. და ჩვენი პატარა ჟურნალის ფარგალი განძრევის ნებას რომ მაძლევდეს, აქვე ვრცლათ გავშლიდი ერთ დიდ კრიტიკულ სტატიას. ავტორის მხატვრულათ მწერლობის კალამი აქ დიდათ ნოყიერია, ცურიანი და ისეთი სიამის მომგვრელი და სანეტარო, ვით პაპანაქება-სიციხეში მალალი მთების მწვერვალებიდან დაძრული გრილი ნიავი.

\*) გიორგი წერეთელმა დასწერა კიდევ მეორე რომანი — „გულ ქანი“, რომელიც ცენზორმა დაიჭირა. მერე, პეტერბურღში, ნიკო მარსს გადასცა გამოსაცემათ. შარა იქაც არ გაუშვეს. მე გადმომა განხევენებულმა ეს რომანი წასაკითხავათ და, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უკანახკნელმა რომანმა დაჩდილა ყველა იმისი ნაწერები.

გული არ მითმენს, რომ არ ვუსაყვედურო იმის შვენიერ ქალ-ვაჟს, რომ მამა მისის ეს რომანი ამდგნანსარ დასტამბეს.



საეროოდ გ. წერეთლის ყველა ბელეტრისტულ ნაწარებს მეტად ტკბილი, ცოცხალი, ძლიერი და ღრმა გამოხატულობა და აზრი აქვს და მგონია, რომ იგინი ერთ დიდ განუყრელ, ერთად გადაბმული მრავალგვარ, ათას ფეროვან დიდ შვენიერ ყვავილთა კონას, ვარდების ერთ დიდებულ თაიგულს წარმოადგენენ. ყველა ეს ნაწარმოებნი და იქ გამოხატული სახე-სურათები ერთი მეორის ზედ მიყოლებით ერთი დიდი რეალისტურის შემოქმედებით არიან გაშუქებული და ადამიანის გძნობა-გონებაში ღრმად იჭრებიან, როგორც ერთი მთლიანი, დასრულებული, გაუნყოფელი, აჭრელებული, დიდი და მდიდარი სასიამოვნო საკითხავი ქარული წიგნი.

აი, ეს არის სწორედ ის სასწაული და დიდი საიდუმლოებაც, რომლიც მინიჭებული აქვს უხვად ამ ნამდვილს და ჭეშმარიტს, პირმცინარე, ნაზი იუმორით სავეს ბელეტრისტი-მხატვარს, რომელიც უტურფესი დილით აღრე სამხრეთის პირმცინარე მზის ამოსვლაზე უფრო დიადი, უკვდავი და შვენიერია...

გიორგი წერეთელს ბელეტრისტულ ნაწერებში გამოხატული ყავს უბრალო. სადა ადამიანი შეილება (ბახვა, მაგ., თხების წყემსი იყო პატარობისას და იმის წკრიალა ხმას თეკლათის უზარმაზარ წიფლნარით შემოსილი სერები ბანს აყოლებენ) რომანტოსი მწერალივით, ჩვენი ბელეტრისტი არ ეტანება არა ჩვეულებრივი, იშვიათი ადამიანის, ბუმბერაზ ნაწერში გამოხატვას. ლიტერატურაში არც სკაჭიროა ამ გვარი ადამიანების გამოხატვა და იგი ზედმეტად მიმაჩნია.. რატომ? იმიტომ რომ არა ჩვეულებრივი, იშვიათი ადამიანივით ვერ მოიქცევა და იცხოვრებს ჩვეულებრივი, ჩვენგვარი ადამიანი. პირველს სხვა გვარი ფსიხიკა აქვს და ჩვენ კიდევ—სხვა. ჩვენ უფრო და გარდამეტებით ერთი მეორეს ვგავართ და, ამიტომაც, ვინმე ჩვენგანის ლიტერატურაში გამოხატვა უფრო გვიზიდავს და გვანტერესებს, ვიდრე რჩეული, დიდი და მიუწდომელი ბუნების და ხასიათის ადამიანის გამოხატვა და ცხოვრების თუნდ დიდი ხელოვნებითაც აღწერა-

ამიტომაც, რეალიზმი გაცილებით უფრო ახლოა ჩვენზე, ვიდრე იდეალიზმი და რომანტიზმი. რასაკვირველია, ცხოვრების გამოხატვა ყოველი შკოლის მწერალს შეუძლია და რეალიზმი (სიმბოლიზმი) არა ქმნის მწერალს მხატვრათ. მწერალს ქმნის მხატვრათ მხოლოდ და მარტო შემოქმედებითი, პირდაპირი ტალანტი, მადლი, რომლითაც დასაჩუქრებულია იგი. ვინც მოკლებულია ამ მადლს, იგი ვერ შექმნის ნამდვილ, ჭეშმარიტ ხელოვნურ ნაწარმოებს, რაც უნდა კეთილი, პატიოსანი აზრები და იდეალები გაიხადოს თვასი მწერლობის მიზნათ...

დასასრულ, უნდა ვუსაყვედურო ჩვენს მხცოვანსა და დიდათ მოღვაწე საზოგადოებას, რომ გიორგი წერეთლის ნაწერებს არ აქვს დართული ავტორის არა თუ ვრცელი ბიოგრაფია, უბრალო მოკლე აღწერაც იმისი ეკლიანი და მასთან მდიდარი ცხოვრებისა. ამ ნაწერებს წინ არ მიუძღვის აგრეთვე არც ვრცელი კრიტიკული შეფასება, რისი ღირსიც არის ავტორი. გიორგის მართლწერა დამახინჯებულია და არც კორექტურულ შეცდომებს დოუკლია ხელი.

სხვაფერ, წიგნები სუფთადაა დასტამბული და ფასებიც, ჩვენი დროის პირობაზე, იაფია.

ზომლელი.



ნ. ხომერიკი. „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“,

(საქ. რეს. ქალაქთა კავშირის გამოცემა ტფ. 1920 წ. ფ. 35 მან.)

ეს წიგნაკი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც ავტორმა წაიკითხა საქ. სოც.-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობაზე. ამ მოხსენების თანახმად შიღებულ იქნა აგრარული რეზოლიუცია, რომელიც დაიბეჭდა ჟურ. „ერობის“ მე-5-ე ნომერში.

წიგნაკი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მთავარ საკითხს ეხება და დაწვრილებით იხილავს აგრარული რეფორმის ყველა მხარეს. მას დიდს ყურადღებით წაიკითხავს ყველა, ვისაც ნამდვილად აინტერესებს აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობის, საერთოდ მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ბედი. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს წიგნაკი ჩვენი ერობის მოღვაწეთათვის.

№ №

## კითხვა-პასუხი.

**კითხვა:** ეძლევა თუ არა რაიმე ნაწილი თავის ნებით გამოყოფილ თემის მხარეს იმ ქონებიდან, რომელიც შეადგენდა საერთო კუთვნილებას გამოყოფამდის?

**პასუხი:** პრინციპილურად ცხადია უნდა ეძლეოდეს გამოყოფილ მხარეს შესაფერისი ნაწილი იმ ქონებიდან, რომელიც შეადგენდა გამოყოფამდის საერთო კუთვნილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოყოფა ნაწარმოები და შესრულებულია კანონიერის გზით და დამტკიცებულია სათანადო წესისამებრ.



რედაქტორები: } გრ. ლორთქიფანიძე.  
                              } პ. საყვარელიძე.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი.



მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის ორკვირეულ ჟურნალ

წელიწადი პირველი „**ეროვნება**“ № წელიწადი პირველი

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველმხრივ გარკვევა-გაშუქებას.



## რედაქციისაგან

რედაქცია სთხოვს ყველა საეროობო და საზოგადოდ თვითმართველურ ერთეულებს მოგვაწოდონ ადგილობრივი ცხოვრებიდან მასალე-ბი: მნიშვნელოვანი რეზოლიუციები და დადგენილებანი, წერილები, სტატისტიკური ცნობები, გამოცემანი.





## განცხადება.

ქართულმა ბეჭდვითი ამხანაგობამ უკვე გამოსცა გასასყიდათ შემდეგი წიგნები:

- 1) ნოე ყორდანის თხზულებანი I და II ტომი.
- 2) ყარბის—„წითელი წიგნი“ რუსულ ენაზე.
- 3) პროფ. სვ. ავლიანის—მსოფლიო ისტორია ახალი საუკ.
- 4) ივ. ელიაშვილის—დედა-ბუნების ძირითადი კანონები.
- 5) ალ. წერეთლის—მსოფლიო ისტ. დაწყებითი კურსი 1 ნაწ.
- 6) სეით იაშვილის—ბოტანიკა 1 ნაწ.

### იბეჭდება და გამოვა:

- 1) ნოე ყორდანის თხზულებათა III ტომი.
- 2) ივ. ელიაშვილის—ბუნების სარკე 1 ნაწ.
- 3) ალ. წერეთლის—მსოფლ. ისტ. დაწყ. კურსი 2 და 3 ნაწ.
- 4) სეით იაშვილის—ევროპა (გეოგრაფია).
- 5) იაკობ ზედგინიძის—Методическая христоматія II და III ნაწ.
- 6) მისივე ქართული ან-ბანი (დედა-ენის მაგიერ)
- 7) არკადი ჩხენკელის—ბუნება. მიწა, წყალი, ჰაერი. ამათ გარდა მზადდება რვეულები და ბლოკ-ნოტები სხვა და სხვა სახისა.

ყველა სახელმძღვანელო მოწონებული და ნება-დართულია სკოლებში სახმარებლად განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტის მიერ.





581  
1920

## ტფილისში გამოდის

ყოველკვირეული საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურ-ტურთ გაზეთი

# „სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

## გაზეთი გამოდის ორგანიზაციით

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე — ტფილისში, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: {  
ალ. ლომთათიძე.  
ივ. გომართელი.  
სტ. ელიაძე.

ფასი 50 განათი.